




საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი

## საქართველოში

(.22)796.3  
ც-189



საქართველოს სსრ  
პროლეტარული და  
პედაგოგიური ცენტრის  
ბიბლიოთეკის  
საზოგადოებრივი  
ბიბლიოთეკა

სურია შირვა + ფიჭუბურა და სოფრბი \*

1960 11



ქართული ენის ენციკლოპედია

საერთაშორისო სსრ კოლიტიკური  
და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებრივი

*Handwritten notes in Georgian:*  
საქართველოს ენციკლოპედია  
საერთაშორისო სსრ კოლიტიკური  
და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებრივი

ა. ცაგციშვილი

# შეხვედრის სექციის წევრი

*Handwritten in purple:*  
K 94.862  
3



496.332 (479.22)

ქართული ენციკლოპედია



ავტორი — ამირან ივანეს ძე ცაშვილი  
რეცენზენტი — დოც. შ. გორგაძე  
რედაქტორი — ირ. უგულავა  
გარეკანი მხატვარ ო. სეხნიაშვილისა.



ქართულ ფეხბურთს მდიდარი წარსული და კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავალი აქვს. საქართველოში კულტივირებულ სპორტის სახეობათა შორის იგი ყველაზე უფრო პოპულარულია. ფეხბურთი ჩვენში მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ჩაისახა. ამ 60 წლის განმავლობაში მან მრავალი თვალსაჩინო ფეხბურთელი აღზარდა და გამოავლინა, რითაც ჩვენს რესპუბლიკას საყოველთაოდ გაუთქვა სახელი საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

ქართული ფეხბურთი და მისი გამოჩენილი ოსტატები სერიოზული მიღწევებით ხვდებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 40 წლისთავის დღესასწაულს. რესპუბლიკურ ჩემპიონატებში 120-ზე მეტი კოლექტივია ჩაბმული. დაახლოებით 60.000 კაცი ვატაცებით თამაშობს მას. 20-მდე სპორტის დამსახურებული ოსტატი და ამდენივე რესპუბლიკური და საკავშირო კატეგორიის მსაჯი გვყავს. სტადიონებითაა მოფენილი საქართველოს ტერიტორია.

25 წლის მანძილზე 21-ჯერ ჩატარდა საკავშირო პირველობა და თბილისის დინამოელებმა 4-ჯერ ვერცხლის, ხოლო 5-ჯერ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. 477 თამაშიდან 227 მოიგეს, 112 ფრედ დაამთავრეს და 138 წააგეს. ამ ხანში 589 ქულა მოაგროვეს ბურთების შეფარდებით 928:704. 1936 წლიდან „დინამო“ 19-ჯერ მონაწილეობდა საკავშირო თასის გათამაშებაში და 4-ჯერ ფინალში გავიდა, 4-ჯერ კი ნახევარფინალში. ხოლო საბჭოთა კავშირის ხალხთა 1 სპარტაკიადაზე 18 საუკეთესო გუნდს შორის მეორე ადგილი დაიკავა.

ქართველი ფეხბურთელები დიდი წარმატებით გამოდიან საერთაშორისო სარბიელზეც და ბრწყინვალედ იცავენ საქართველოს სპორტულ ღირსებას. 1961 წლის 1 იანვრისათვის თბილისის დინამოელებმა უცხოელებთან 41 მატჩი მოიგეს, 12 ყანით დაამთავრეს და მხოლოდ 17 თამაში წააგეს.



პატარა ბროშურაში შეუძლებელია ქართული ფეხბურთის ველმბრივი და სრულყოფილი ასახვა, მით უმეტეს, რომ წინამდებარე შრომა პირველი ცდაა ამ სფეროში და მკვლევარს მრავალი გაუთვალისწინებელი დაბრკოლება ელოდება. არქივებში, პრესასა და ხალხში გაბნეული მასალა შეძლებისამებრ შევკრიბეთ, წესრიგში მოვიყვანეთ და ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გავხადეთ.

\* \* \*

ფეხბურთის თამაშს ჩვენში დიდი ისტორია არა აქვს. იგი XIX საუკუნის მიწურულში ჩაისახა, ერთი მხრივ, დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპირო ნავსადგურებში, ხოლო, მეორე მხრივ, თბილისში.

ფეხბურთის გავრცელების მთავარი ცენტრი კი თბილისი იყო. თბილისის ვაჟთა I გიმნაზიის 1896 წლის ანგარიშიდან ჩანს, რომ ტანვარჯიშის გარდა აქ ფეხბურთისათვის ყველა საჭირო ინვენტარი გააჩნდათ და პირობები ჰქონდათ. ტანვარჯიშის მასწავლებლად იყო ჩეხი ბოგდან კარლოს ძე პეტუჩეკი, რომელიც კარგად იცნობდა ფეხბურთს.

ვაჟთა გიმნაზიაში ტანვარჯიშის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის 1896 წელს ჩეხიიდან საგანგებოდ ჩამოიყვანეს ანტონ ლუკეში — ჩეხიის ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის“ ერთ-ერთი გამოჩენილი წევრი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩეხებს და, კერძოდ, ა. ლუკეშს დიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოში ტანვარჯიშის გავრცელების საქმეში.

ლუკეშმა 1898 წელს ჩამოაყალიბა ტანვარჯიშის მოყვარულთა წრე, რომლის წევრები ვარჯიშობდნენ აგრეთვე მძლეოსნობაში და ალბათ ფეხბურთშიც. თუმცა თბილისელებმა ფეხბურთზე ზოგი რამ უკვე იცოდნენ და ელემენტარული წარმოდგენაც ჰქონდათ, მაგრამ 1906 წლამდე სპორტის ამ სახეობას არაფერი მისდევდა. ზოგჯერ ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის“ წევრები გართობის ან ექსპერიმენტის სახით თუ შეეხებოდნენ ბურთს და მალლა დარტყმაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

1906 წელს თბილისის „სოკოლის“ პრეზიდენტის წევრის ადოლფ ადოლფის ძე ელზენგერის თაოსნობით ჩამოყალიბდა „ბურ-



თის ფეხით მოთამაშეთა“ პირველი გუნდი. პირველ ხანებში ფეხბურთის თამაში შემთხვევითი ხასიათისა იყო. ასეთი ღონისძიებები უფრო ხშირად გიმნაზისტების ექსკურსიების დროს ტარდებოდა. ასე, მაგალითად: 1906 წლის 28 მაისს თერთმეტმა „სოკოლმა“ და ერთმა სტუმარმა მოაწყვეს ექსკურსია ლისის ტბის მიდამოებში, მათ მხიარულად გაატარეს დრო, იკიდავეს, იხტუნეს, შუბი და ბადრო ტყორცნეს, იცურავეს. ბოლოს დაეშვნენ ტაფობში გზატკეცილისაკენ და მალაქანთა უბანში ფეხბურთის თამაში გააჩაღეს. ამის შესახებ თბილისის „სოკოლის“ 1906 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „ვითამაშეთ ფეხბურთის ორი პარტია და დღის 4 საათისათვის თბილისში დავბრუნდით“.

თბილისელი კორესპონდენტი პ. ლოსოვსკი ფეხბურთის შესახებ წერდა: „1906 წლამდე ფეხბურთი თბილისში ნაკლებად იყო ცნობილი. მხოლოდ ადგილობრივი ტანვარჯიშული საზოგადოების აქტიური წევრები საზაფხულო არდადეგების დროს ქალაქგარეთ ერთმანეთში თუ გაითამაშებდნენ ერთ-ორ პარტიას, მაგრამ ორგანიზებულად ჩამოყალიბებული გუნდი არც მათ ჰყოლიათ“. მხოლოდ 1906 წლის ივნისში თბილისის ველოდრომზე, რომელიც კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ტერიტორიაზე მდებარეობდა, ნ. ლგოტაკმა ჩამოაყალიბა პირველი, თუმცა არაოფიციალური, ბურთის ფეხით მოთამაშეთა პატარა წრე. გუნდის ხელმძღვანელად და კაპიტნად აირჩიეს მ. ნ. ჰომერი. სპორტულ ფორმად მიღებული იყო: წვივსახვევებში ჩატანებული ტილოს თეთრი შარვალი, პერანგის მსგავსი შავი მაისურები, ზემოდან სქელი, უსახელო ყვითელი წამოსასხამი მოძრაობას ზღუდავდა. ბუცების მაგივრობას ტლანქი წაღები, ხოლო საწვივეს—ტყავის პაჭიკები ასრულებდნენ. ფეხბურთის მოყვარულთა წრის წევრები ყოველთვიურად ერთ მანეთს იხდიდნენ. სიცხის გამო თამაშებს კვირაში ორჯერ აწყობდნენ და იმასაც საღამოს 9 საათიდან ელექტრონის შუქზე.

მ. ჰომერის გარდაცვალების შემდეგ წრეს სათავეში ჩაუდგა თბილისის ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის“ წევრი ა. ელზენგერი. მან ინგლისურიდან თარგმნა ფეხბურთის თამაშის წესები, რომელსაც ვერ მივაგენით. ზაფხულის დღეებში ლგოტაკის ტრეკზე ველოსიპედისტთა ხშირი შეჯიბრებების გამო შეუძლებელი გახ-



და ფეხბურთის სისტემატური თამაში, ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ სხვაგან მოეძებნათ მოედანი. ფეხბურთის პირველი ლგოტაკის ველოტრეკზე სექტემბრამდე იარსება, ნოემბერში კი უფლება მიიღო უსასყიდლოდ ესარგებლა დიდუბის იპოდრომით, სადაც ოთახიც კი დაუთმეს.

1907 წლის 1 იანვრისათვის ფეხბურთის მოყვარულთა წრეში 18 წევრი და 5 დამსწრე ირიცხებოდა. მაგრამ ხელისუფლებამ მოითხოვა წრის ოფიციალური გაფორმება, წინააღმდეგ შემთხვევაში ფეხბურთელებს აეკრძალათ არამცთუ ბურთის თამაში, არამედ თავშეყრაც კი. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდში აღმოჩნდა საქმე, რომელიც თბილისში ფეხბურთის პირველი ოფიციალური გუნდის ჩამოყალიბების ისტორიისათვის შეიცავს ზუსტ და მეტად საინტერესო ცნობებს.

ეს საქმე ეკუთვნის თბილისის გუბერნატორის კანცელარიის საერთო განყოფილებას და ეწოდება—„კოლეჯის ასესორის ა. ა. ელზენგერისა და სხვა პირთა შუამდგომლობა თბილისში ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა წრის დაარსების შესახებ“. საქმეში ჩაკრებული მიმოწერა დაწყებულია 1906 წლის მიწურულში და დამთავრებულია 1907 წელს.

როგორც ამ საქმიდან ჩანს, თბილისში ფეხბურთის მოყვარულთა წრის ჩამოყალიბების ორგანიზატორებს თბილისის გუბერნიის მმართველობისათვის მიუმართავთ განცხადებით, რომელშიც უთხოვიათ ფეხბურთის ოფიციალური გუნდის შექმნის ნებართვა. განცხადების პასუხად ფეხბურთის ენთუზიასტებმა 1907 წლის 12 იანვრით დათარიღებული შემდეგი პასუხი მიიღეს:

„მისი იმპერატორობით უდიდებულესობის უცხოეთთან მიმოწერის კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიის მდივანს კოლეჯის ასესორს ადოლფ ადოლფის ძე ელზენგერს, კბილის ექიმს იური ანდრეის ძე გეინეს, დამზღვევი საზოგადოება „რუსეთის“ მოსამსახურე ალექსანდრე კარლოს ძე გააზეს, გრამოფონის კომპანიის მუშაკს თედორე მანუკას ძე კორტუმს, განცხადებაზე:—თბილისში „კომეტის“ სახელწოდებით „ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა წრის“ ჩამოყალიბების შესახებ გუბერნიის მმართველის დავალებით ეცნობოთ, რომ აღნიშნული სახელწოდებით ორგანიზაციის ჩამოყალიბების განზრახულობა, მისი ფუნქციები, მართვის წესები და საერთოდ მისი არსებობა, როგორც ხსენებული განცხადებიდან ჩანს, განპირობებულია მთელი რიგი წესებით და ამასთანავე ერ-



თად, რადგან ამ „წრეს“ თავის განკარგულებაში ექნება განსახლ-  
 რული კაპიტალი და ქონება, წრე შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ  
 საზოგადოებებისა და კავშირების 1906 წლის 4 მარტის დროები-  
 თი წესების 20—25 მუხლებიდან გამომდინარე სანქცირებით ანუ  
 სათანადო წესების გამომუშავებისა და გუბერნიის საზოგადო საქ-  
 მეთა საკრებულოში „წრის“ რეგისტრაციის შემდეგ“.

მეფის რუსეთის მოხელეებმა ასე დაუხლართეს გზები საქარ-  
 ველოში გამომწვევებულ უცხოელ, მაგრამ ხელისუფლების ნდობით  
 აღკურვილ პირებს, რომლებმაც გართობის მიზნით განიზრახეს  
 თბილისში ჩამოეყალიბებინათ ფეხბურთის მოთამაშეთა წრე. აქე-  
 დან გასაგებია: თუ მთავრობის მოხელეებს ასეთ უნდობლობას უც-  
 ხადებდნენ, როგორ პოზიციას დაიკავებდნენ ხელისუფლების წარ-  
 მომადგენლები საქართველოსა და მისი დედაქალაქის მკვიდრი მო-  
 სახლეობის მიმართ, რომელიც რუსეთის 1905—1907 წლების რე-  
 ვოლუციის აქტიურად ჩაება. რევოლუციური მოძრაობით გამოწ-  
 ვეული რეპრესიები, როგორც მოყვანილი დოკუმენტებიდან ჩანს,  
 სპორტულ სფეროსაც შეეხო და ფეხბურთის გუნდის ჩამოსაყალი-  
 ბებლად მთელი რიგი ინსტანციების გადალაგვა გახდა საჭირო.  
 „კომეტის“ მთავარმა ორგანიზატორმა ა. ელზენგერმა ფარ-ხმალი  
 არ დაყარა და 1907 წლის 21 თებერვალს თავის ერთ-ერთ ახლო-  
 ბელს, რომელსაც მაღალი თანამდებობა ეჭირა, საპროტეჟო წერი-  
 ლი გაუგზავნა<sup>1</sup>. იგი დაბეჯითებით თხოვდა დახმარება გაეწია  
 თბილისში ფეხბურთის გუნდის დაკანონებისა და თამაშზე ნებარ-  
 თვის მიღების საქმეში. ამავე დროს კოლექტიური თხოვნით მიმარ-  
 თეს თბილისის გუბერნიის მმართველს. აი 1907 წლის 21 თებერვ-  
 ლით დათარიღებული ეს განცხადება: „მის აღმატებულებას თბი-  
 ლისის გუბერნიის ბატონ მმართველს. ფეხბურთის თამაშის მოყ-  
 ვარულთა თბილისის წრე „კომეტის“ დამაარსებელთა განცხადება.  
 თქვენი აღმატებულების კანცელარიის ა. წ. 12 იანვრის № 117 გან-  
 ცხადების შედეგად საზოგადოებებისა და კავშირების 1906 წლის  
 4 მარტის დროებითი წესების 17—22 მუხლების საფუძველზე პა-  
 ტივი გვაქვს ამასთანავე ერთად 2 ეგზემპლარად წარმოგიდგინოთ  
 ზემოდასახელებული წრის ჩვენს მიერ შემუშავებული და სათანა-  
 დოდ დამოწმებული წესდება და 4 მანეთი და 65 კაპიკი, რომე-  
 ლიც საჭიროა ამ ორგანიზაციის დაარსების შესახებ გაზეთში გა-

<sup>1</sup> „კომეტი“ შესახებ იხ. გაზ. „ლელო“, № № 64, 65, 66, 67, 1959 წ.





მოსაქვეყნებელი განცხადებისათვის. განცხადებას თან ატარებდა აგრეთვე ჩვენი კანონიერი უფლებამოსილებისა და ხელმოწერის ნამდვილის ნოტარიალური დამოწმება. ა. ელზენგერი, ა. გააზე, ო. ვეინე, თ. კორტუმი“. საარქივო საქმეში მართლაც ჩაკერებულია ნოტარიუსის მიერ სათანადოდ შედგენილი, დამოწმებული და სახელმწიფო საბაჟო გამოსაღებითა და ბეჭდით განმტკიცებული საბუთი.

ფეხბურთის პირველი ოფიციალური გუნდის დაკანონებისათვის საჭირო იყო აგრეთვე თბილისის გუბერნიის საზოგადო საქმეთა საკრებულოს გადაწყვეტილება. ამიტომ „კომეტის“ დაარსების საკითხი მოსმენილი იქნა 1907 წლის 23 თებერვალს ხსენებული საკრებულოს სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა გუბერნატორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ვიცე-გუბერნატორი ა. ჩერნიავესკი. სამსჯავრო სხდომას ესწრებოდნენ თბილისის ოლქის სასამართლოს პროკურორი ნ. ბრანდორფი, თბილისის სახელმწიფო პალატის მმართველი ვ. ოსტროვესკი, ქალაქის თავის მოვალეობის შემსრულებელი თავ. ნ. ჩერქეზიშვილი და გუბერნატორის კანცელარიის მმართველის საქმეთა მწარმოებელი ე. უმანცივი.

სათანადოდ გაფორმებული სხდომის ჟურნალიდან ჩანს, რომ მათ დეტალურად განუხილავთ „კომეტის“ წესდება, გულმოდგინედ გაუჩხრეკიათ თითოეული წინადადება და უდიდესი სიფრთხილით მოჰკიდებთან ახალ სპორტულ ორგანიზაციას. ამ ვრცელი ფორმალური პროცედურის შემდეგ სამსჯავრომ გადაწყვიტა:

„ამრიგად, თბილისში „ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა თბილისის წრის“ წესდების პროექტის განხილვისას აღმოჩნდა, რომ იგი ყოველმხრივ აკმაყოფილებს საზოგადოებებისა და კავშირების წესების 21-ე მუხლს. ხელმძღვანელობდა რა 23—25 მუხლების იმავე წესებით, გუბერნიის საზოგადო საქმეთა საკრებულომ დაადგინა: აღნიშნული სახელწოდების საზოგადოებას შემოაქვს დაწესებული რეესტრი, რის შესახებაც გაკეთდეს წარწერა წესდების პროექტის წარმოდგენილ ეგზემპლარებზე და გაიგზავნოს სტატიები თანახმად დადგენილი წესისა „სენატის განცხადებებსა“ და გაზეთ „კავკაზში“ ორგანიზატორთა მიერ შემოტანილი 4 მანეთისა და 60 კაპიკის ანგარიშში“.

ამ ვრცელსა და „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ეპისტო-

ლეს“ დიდი გულმოდგინებით აწერენ ხელს ა. ჩერნიაესკი, ნ. ბრანდორფი, ვ. ოსტროვსკი, ნ. ჩერქეზიშვილი და უმანცევი.



თუ რას წარმოადგენდა „კომეტის“ წესდება, რა კურორტულ, უცნაურ მუხლებს შეიცავდა იგი და როგორ სიძინელებთან იყო დაკავშირებული ფეხბურთის თამაში თბილისში, მკითხველი ნათლად დაინახავს „კომეტის“ წესდებიდან, რომელიც 40 მუხლისაგან შედგება. აქ მოგვყავს ზოგიერთი მათგანი.

1. წრის მიზანი. მუხ. 1. ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა თბილისის წრე მიზნად ისახავს: ა) თავის წევრებს საშუალება მისცეს თავისუფალ დროს ითამაშონ ფეხბურთი, ბ) ხელი შეეწყოს ფეხბურთის გავრცელებას თბილისის მოსახლეობაში, გ) სპორტის ინტერესებისათვის ამ თამაშის მოყვარულებს მისცეს უფრო მჭიდრო ურთიერთობის საშუალება.

მუხ. 2. წრეს უფლება ეძლევა: ა) მოაწყოს ყველაფერი, რაც აუცილებელია ამ თამაშისათვის დაქირავებულ ან საკუთარ მოედანზე, თუ ამის საშუალებას იძლევა წრის სახსრები, ბ) მოაწყოს საჯარო შეჯიბრებები.

შენიშვნა: საზოგადოებას შეუძლია მოაწყოს ქალაქსა ან მის გარეუბნებში საჯარო შეჯიბრებები გარეშე მაყურებლების დასწრებით და განსაკუთრებული საფასურის გადახდევინებით, მაგრამ ისე, რომ ამ საქმეში დაცული იქნას მოქმედი კანონის ყველა წესი და მთავრობის განკარგულებანი.

წესდების მეორე თავში განსაზღვრულია წრის შემადგენლობა. მესამე მუხლი წრის წევრებს ყოფს საპატიო და ნამდვილ წევრებად, მოთამაშეებად და გარეშე მოსიარულეებად. მეოთხე მუხლის ძალით საერთო კრებას უფლება ეძლეოდა საპატიო წევრებად აერჩია ის პირნი, რომლებიც განსაკუთრებულ სამსახურს გაუწევდნენ წრეს და ვინც ცნობილი იყო თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით სპორტის რომელიმე სახეობაში. მე-5 მუხლში ვკითხულობთ: ნამდვილ წევრებად შეუძლიათ იყვნენ მხოლოდ არა უმცირეს 21 წლის, მამრობითი სქესის პირები, რომლებიც წრის სალაროში ერთდროულად შეიტანენ სულ კოტა 100 მანეთს ან ყოველწლიურ საწევრო ანარიცხებს ორმაგად. წრის წევრებად არ შეიძლება იყვნენ:

- ა) სასწავლებლის მოსწავლენი,
- ბ) ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი დაბალი ჩინის სამხედრონი,
- გ) სასამართლოს მიერ უფლებაშეზღუდული პირები.

შემდეგ მოცემულია წრის წევრებისა და გარეშე მოსიარულეთა არჩევის წესები. მეცბრე მუხლის ძალით წრის ნამდვილი წევრებად ან მოთამაშებელ მსურველები მიიღებოდნენ წრის ნამდვილი წევრის რეკომენდაციით. წრის კომიტეტი, რომელიც შეაგროვებდა ცნობებს რეკომენდებულის შესახებ, ჩარიცხავდა მას კანდიდატად და პირველივე სხდომაზე ირჩევდა წევრად.

„კომეტის“ წესდების მეოთხე თავში ჩამოთვლილია წევრებისა და გარეშე მოსიარულეთა უფლება-მოვალეობანი. წევრები ხმის უფლებით სარგებლობდნენ მიღებიდან მხოლოდ 3 თვის შემდეგ. ნამდვილი წევრები ვალდებული იყვნენ ერთდროულად გადაეხადათ 3 მანეთი და ყოველწლიურად 6 მანეთი ორჯერ საწევრო ანარიცხის სახით. ვინც დროულად არ გადაიხდიდა საწევროს, გაირიცხებოდა წრიდან და კარგავდა წვრთნასა თუ თამაშებზე დასწრების უფლებას. განმეორებით შესვლისას წევრს ჯარიმის სახით კვლავ უნდა გადაეხადა ერთდროული გამოსაღები. საპატიო წევრები სარგებლობდნენ ნამდვილი წევრების ყველა უფლებით და ამავე დროს ყოველგვარი სავალდებულო ფულადი გამოსაღებისაგან თავისუფლებოდნენ.

წესდებაში გათვალისწინებულია წრის ფინანსები, საშემოსავლო წყაროები და სხვადასხვა ხარჯები.

წესდების დამტკიცების გარდა, თანახმად მაშინდელი წესისა, თბილისის ფეხბურთელთა გუნდის „კომეტის“ შექმნის შესახებ გუბერნიის კანცელარიის მმართველმა სენატის კანცელარიასა და გაზეთ „კავკაზის“ რედაქციას 9 მარტს ოფიციალური მიმართვით გადაუგზავნა პრესაში გამოსაქვეყნებელი განცხადებების ტექსტი, რომელიც საზოგადოებას აუწყებდა ახალი სპორტული ორგანიზაციის ჩამოყალიბებას.

ამრიგად, მთელ რიგ ზემდგომ ინსტანციებში გაწურვისა და ვრცელი პროცედურის შემდეგ, როგორც იქნა, 1907 წლის 23 თებერვალს დაკანონდა „კომეტა“ და ამ დღიდან თბილისში გაჩნდა ფეხბურთის პირველი ოფიციალური გუნდი, რომელსაც ჰქონდა თავისი ფორმა, სახსრები, მოედანი და წესდება.

თითქოს ყველაფერი დამთავრდა. ყველა ფორმალობა აღსრულებულ იქნა, მაგრამ ხელისუფლების ორგანოები არ ცხრებოდნენ. გუბერნატორის ბრძანების თანახმად 1907 წლის 26 თებერვალს, წრის თავმჯდომარეს ოფიციალური მიმართვით მოთხოვეს

10 დღის განმავლობაში თბილისის გუბერნიის სამმართველოში წარედგინა „კომეტის“ 1907—1908 წლების სამოქმედო გეგმა.

10 მარტს სასწრაფოდ მოიწვიეს წრის პირველი საერთო კრება, რომელზედაც წრის კომიტეტი აირჩიეს შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ა. ა. ელზენგერი, კაპიტანი ო. ა. გეინე, ვიცე-კაპიტანი თ. კ. კორტუმი, მდივანი ა. კ. გააზე და კომიტეტის წევრები ი. დ. ზახაროვი და ვ. ი. ფრეი. წრემ შეიმუშავა სამოქმედო პროგრამა, სავარჯიშოდ და სათამაშოდ გამოყვეს დღეები.

1907 წელს „კომეტის“ კომიტეტი 5-ჯერ შეიკრიბა და თავის სხდომებზე საბოლოოდ შეიმუშავა, ხოლო შემდეგ ცალკეული ბროშურების სახით გამოსცა კიდევ ფეხბურთის თამაშის წესები და ინსტრუქციები მოთამაშეთათვის. მიუხედავად იმისა, რომ წესდების მე-7 მუხლი კრძალავდა სპორტის ამ ახალ სახეობაში მოსწავლეთა ჩაბმას, კომიტეტმა გადაწყვიტა თბილისელი მოსწავლე ახალგაზრდობა მიეზიდა, უფრო მასობრივი ხასიათი მიეცა ფეხბურთისათვის.

მიღებულმა ღონისძიებებმა მცირე, მაგრამ მაინც სასურველი შედეგი გამოიღო. ფეხბურთელთა წრეში 1908 წლის პირველი იანვრისათვის 22 კაცი ირიცხებოდა. ამავე წლის 29 თებერვალს შედგა ფეხბურთელთა საერთო კრება სადაც საანგარიშო მოხსენების შემდეგ განიხილეს მიმდინარე საკითხები; ქალაქის ცენტრის ახლოს ახალი მუდმივი სათამაშო მოედნის გამონახვის შესახებ, საწევრო ანარიცხების შესახებ და სხვ. მხედველობაში მიიღეს რა ფინანსური სიფიქროვე (1907 წელს შემოსავალი 166 მანეთითა და 56 კაპიკით განისაზღვრებოდა, ვასავალი კი 134 მანეთსა 41 კაპიკს უდრიდა) საერთო კრებამ წრის კომიტეტს დაავალა გამოენახა სახსრების ახალი წყაროები სპექტაკლის ან საჯარო მატჩის მოწყობის გზით.

მრავალი ღონისძიების, გულმოდგინებისა და ცდის მიუხედავად „კომეტის“ მოღვაწეობა მეტად შეზღუდული და პრიმიტიული იყო. დიდი საწევრო გამოსაღები „კომეტას“ ფაქტიურად კარჩაკეტილ ორგანიზაციად აქცევდა, მით უმეტეს ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის.

„კომეტამ“ ხალხში ვერ გაიდგა ფესვები და ვერ შეძლო სპორტის მოყვარულთა მიზიდვა იმიტომაც, რომ 1906—1908 წლებში თბილისში მხოლოდ ეს ერთადერთი გუნდი არსებობდა და არ ჰქონდა შეჯიბრების ან საჯარო დემონსტრირების საშუალება. აი რას წერს 1908 წლის ჟურნალი „სპორტი“:

„უნდა გამოვთქვათ სინანული, რომ ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლი“ არ აყალიბებს თავის ფეხბურთელთა გუნდს, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა „სოკოლისა“ და „კომეტის“ გუნდებს შორის მატჩის მოწყობა. ასეთი საჯარო შეჯიბრება თბილისის საზოგადოებაში საგრძნობლად გაზრდიდა ინტერესს სპორტისადმი და, კერძოდ, ამ მიმზიდველი და სასარგებლო თამაშისადმი, რაც დაუყოვნებლივ მოახდენდა ზეგავლენას ახალი მოთამაშეების მიზიდვაზე“.

„სოკოლის“ ხელმძღვანელებმა ყურად იღეს სპორტულ პრესაში დაბეჭდილი საფუძვლიანი საყვედური. ამისთანავე 1907 წელს, როდესაც თბილისის „სოკოლის“ გუნდი პრაღის მე-5 შეკრებაზე იმყოფებოდა, საქართველოდან ჩასულმა ტანვარჯიშეებმა პირველად იხილეს ნამდვილი ინგლისური ფეხბურთი, ძლიერ დაინტერესდნენ და გაეცნენ გუნდის წვრთნის მეთოდებს.

ა. ა. ელზენგერმა და გ. ს. ეგნატაშვილმა პრაღაშივე გადაწყვიტეს სერიოზულად მოეკიდათ ხელი ფეხბურთისათვის, შეექმნათ გუნდი და შესაფერი მოედანიც გამოენახათ. მოედნად შეარჩიეს ახლანდელი სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორია. აქ, რკინიგზის ერთ-ერთი სახელოსნოს გვერდით, 1910 წელს ჩაისახა ფეხბურთი. „სოკოლის“ ფეხბურთელთა გუნდის წვრთნა და თამაშები ეწყობოდა აგრეთვე ვაკეში, ყოფილ აგურის ქარხნებთან და სხვაგან.

პირველი ფეხბურთელები იყვნენ გიგუშა ბარათაშვილი, მიხეილ მოზოვი, ისიდორე გაგუა, ჩიკალდინი, გიორგი სიმონის ძე ეგნატაშვილი, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე როსტომშვიციანი, სოსო მაჭავარიანი, გელეიკი, ბაბაევი, ჯემს არტემის ძე ახატანი, თედორ კორტუმი, ძმები სოკოლოვები, ვასილიევი და სხვ. გუნდის კაპიტანი იყო ელზენგერი.

აქა-იქ სამხედრო სკოლებსა და ნაწილებთანაც ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა გუნდები, რომლებიც თბილისის ყოფილ იუნკერთა სასწავლებლის მოედანზე თამაშობდნენ.

ფეხბურთელთა გუნდები 1908—1909 წლებში შეიქმნა აგრეთვე თბილისის სასწავლებლებთან. ასე რომ 1909—1910 წლებში გიმნაზიების საჩვენებელ-სპორტული გამოსვლების პროგრამებში ფეხბურთიც იყო შეტანილი. მოსწავლე ახალგაზრდობა მასობრივად ეწერებოდა გუნდებში და ახალი მოდის თამაშში დიდ ენთუზიაზმს იჩენდა. სწორედ ამ დროს შეეცარიიდან დაბრუნდა გიგუშა ბა-





რათაშვილი, რომელიც უცხოეთში ფეხბურთს გაუტაცინა<sup>1</sup> კლასი-  
ლისთანავე მან შეაგროვა ფეხბურთის მოყვარული უფროსი კლასე-  
ლი გიმნაზიელები, თავისი ე. წ. „სანთლების ტექნიკა“ გააცნო და  
მათთან ერთად დაიწყო თამაში. ფეხბურთისადმი განსაკუთრებულ  
ინტერესს იჩენდნენ თბილისის ვაჟთა I და II გიმნაზიების მო-  
სწავლენი. II გიმნაზიის გუნდს სათავეში ედგა ენერგიული და გა-  
წაფული ფეხბურთელი ვ. შერშოვი.

თბილისში პირველი ოფიციალური მატჩი ფეხბურთში შედგა  
1911 წლის 21 ოქტომბერს. თამაშობდნენ სპორტსაზოგადოება  
„სოკოლის“ (თეთრი ტრუსებითა და წითელი მაისურებით) და  
თბილისის ფეხბურთელთა სხვა წრეებიდან შედგენილი ნაკრები  
გუნდი (თეთრი ტრუსებითა და შავი მაისურებით). ამ პირველ სა-  
ჯარო თამაშზე დიდძალ მაყურებელს მოელოდნენ. ამიტომ ფეხბურ-  
თის წესების გაცნობის მიზნით მატჩზე დამსწრეთათვის სპეციალუ-  
რად იქნა დაბეჭდილი თამაშის წესები. ძველი ფეხბურთელისა და ტან-  
მოვარჯიშის ა. ახატანის პირად არქივში შემორჩენილი თაბახის  
ფურცელზე რუსულად გამოქვეყნებული ეს დოკუმენტი პირველი და-  
ბეჭდილი ფეხბურთის წესებია საქართველოში. პირველი მატჩის აღ-  
სანიშნავად დამზადებულ იქნა და მონაწილეებს დაუროგდათ ჟეტონი  
წარწერით: „თბილისში ფეხბურთის პირველი მატჩის მონაწილეს“.

გაზ. „კავკაზი“ ფეხბურთის ამ მატჩის შესახებ მოგვითხრობს:  
„ფეხბურთის მოთამაშეებმა ოქტომბერში თბილისში მოაწყვეს პირ-  
ველი საჯარო მატჩი მოსწავლე ახალგაზრდობის ფეხბურთელთა  
წრესთან. გამარჯვებული „სოკოლი“ გამოვიდა“<sup>1</sup>.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინადადებით  
1912 წლის 28 აპრილს მოიწვიეს ტანვარჯიშის მასწავლებლების  
და ექიმების სხდომა, რომელზედაც განიხილეს ექ. ვ. კ. კრამარენ-  
კოს მიერ კიევიდან გადმოგზავნილი ახალგაზრდობისა და მოსწავ-  
ლეების სავარჯიშო პროგრამა, ე. წ. ვერიტას ვარჯიშები. უფროსი  
ასაკის ყმაწვილთათვის პროგრამაში გათვალისწინებული იყო აგ-  
რეთვე: „თამაშები ხელის ან ფეხის ბურთით, უცხოური და რუსუ-  
ლი, მაგრამ ისე, რომ თამაშის წესებიდან ამოღებულ იქნას ყველა-  
ფერი, რაც შეტანილია მასში ინტერესის გაზრდის მიზნით და,  
რომელიც ჯანმრთელობისათვის მავნებელია“ ამ პროგრამის მიღე-  
ბით ფეხბურთმა მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა.

<sup>1</sup> „Кавказ“, 22. III. № 68, 1912 г. стр. 3.

„სოკოლის“ ინციტირებით 1912 წელს თბილისში პირველად გათამაშდა ქალაქის პირველობა მოსწავლე ახალგაზრდობის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. თამაშობდნენ ვაგთა I-II და III გიმნაზიებისა და კომერციული სასწავლებლის გუნდები. ქალაქის პირველი ჩემპიონატი „სოკოლის“ მოედანზე მოეწყო. II გიმნაზიამ 26 სექტემბერს 5:3 მოუგო I გიმნაზიას, 3:0 III გიმნაზიას, დაამარცხა კომერციული სასწავლებლის გუნდიც და თბილისის ჩემპიონობა მოიპოვა. მოსწავლეთა პირველ ჩემპიონატში თავი გამოიჩინეს გ. ჩიკვაძემ (მეკარე), თავდამსხმელებმა ბ. შადრინმა, ი. გაგუამ, ერისთავმა და სხვ. ამის შემდეგ ქალაქის პირველობის გათამაშება ტრადიციად იქცა და ტარდებოდა ყოველწლიურად 1918 წლამდე.

მაგრამ თბილისელი ფეხბურთელები ინციდენტს ვერ აცდნენ. თბილისის ვაგთა II გიმნაზიის მე-5 კლასის მოსწავლემ კუბარევმა თამაშში ხელი მოიტეხა, მარევემა კი ფეხი. ამის გამო გიმნაზიის დირექტორი კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველს 1912 წლის 5 ნოემბერს სწერდა: „ფეხბურთის თამაშის მოყვარული რომელიღაც საზოგადოება თბილისში ელისაბედის ქუჩაზე, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გვერდით, აწყობს შეჯიბრებს, რომლებშიც მონაწილეობენ მოსწავლეები. ასეთი სპორტი მიზნად ფიზიკურ აღზრდას კი არ ისახავს, არამედ ერთმანეთის დაძლევის სურვილსა და გატაცებას. ამიტომ საჭიროა სასტიკად აეკრძალოს საზოგადოებას ფეხბურთის თამაშსა და შეჯიბრებებზე მოსწავლეთა დაშვება“.

აღრესატმა ყურად იღო ხელკეციების განცხადება და თავის მხრივ თბილისის გუბერნატორს ვრცელი ეპისტოლე გაუგზავნა. გუბერნიის კანცელარიაში ბევრი უკირკიტეს ცალკე შემოსულ საჩივარს, ცალკე „სოკოლსა“ და „კომეტას“. გადასინჯეს ხელისუფალთა განკარგულებანი, გაჩხრიკეს სპორტული საზოგადოებების წესდებანი, მოითხოვეს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, პოლიციას სპეციალურად დაავალეს „საქმის“ გამორკვევა და იმავე წლის 12 დეკემბერს შეადგინეს არხა, რომელშიც ვკითხულობთ:

„თბილისის პოლიციის ცნობით მეათე უბანში აბასთუმნისა და ელისაბედის ქუჩის კუთხეში, ფრიდონოვისა და სარაჯევის მამულში, მართლაც არსებობს თბილისის ტანგარჯიშული საზოგადოება „სოკოლის“ მიერ მოწყობილი ფეხბურთის სათამაშო მოედანი. ყოველ კვირას, ხუთშაბათობით და კვირაობით, დღის 3 საათიდან



საზოგადოების მოედანზე ჩვეულებრივ თამაშობენ ხოლმე საზოგადოების წევრები. თამაშებში მონაწილეობენ მოწაფეებიც. მს. 1912 წლის 7 მუხლის ძალით ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლი“ თანაუგრძობდა მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური განვითარების იდეას. მათ გაითვალისწინეს, რომ მოსწავლეებს ქალაქის ცენტრში არ ჰქონდათ მოწყობილი მოედანი თამაშისათვის. ამიტომ თამაშისაგან თავისუფალ დღეებში ნება დართეს უსასყიდლოდ ესარგებლათ მოედნით II და IV გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის მოსწავლეებს... I გიმნაზიის, სათავადაზნაურო გიმნაზიისა და კომერციული სასწავლებლის გუნდებმა კი თამაშისათვის სხვა მოედნები გამოძებნეს ვერაზე, დიდუბეში, თბილისის სამხედრო სასწავლებლის მოედანზე და სხვ. მაგრამ იყენებენ რა საზოგადოების ნებართვას, მოსწავლეები არ კმაყოფილდებოდნენ ჩვეულებრივი თამაშით და საკუთარი ინიციატივით შეჯიბრებები გამართეს. აი ამ შეჯიბრებზე მოუხდათ უბედური შემთხვევა მოსწავლეებს მარევესა და კუბარევისა.

ამრიგად მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ თბილისში 1912 წლისათვის ცნობილი იყო 9 გუნდი: 4 გიმნაზიის, სათავადაზნაურო და რეალური სასწავლებლის, „ოირა“, „სოკოლი“, და „კომეტა.“

თბილისის ფეხბურთელთა კოლექტივი ამის შემდეგ კიდევ უფრო სერიოზულად ჰკიდებს ხელს ფეხბურთის განვითარებას და მისი პოპულარიზაციის მიზნით აწყობს გასვლით თამაშებს. ასე, მაგალითად: 1912 წლის ივლისში თბილისის გიმნაზიელი ფეხბურთელები ქვეითად გაემგზავრნენ მანგლისში, სადაც სამხედრო ნაწილებს იმ დროისათვის საკმაოდ კარგად მომზადებული გუნდი ჰყავდათ. მატჩი 16 ივლისს შედგა. თამაშის პირველ ნახევარში თბილისელებმა გაიტანეს გოლი. მეორე ნახევრის დამთავრება ბინდის გამო აღარ მოხერხდა. ამიტომ შეჯიბრება მეორე დღისათვის გადაიდო. გაზეთი „კავკაზი“ ფეხბურთის ამ მატჩს ასე აგვიწერს:

„მეორე დღეს შეჯიბრებაზე მოწვეულ იქნა ორკესტრი, შეიკრიბა თითქმის ყველა დამსვენებელი, რომლებიც გაცხოველებული ინტერესით ადევნებდნენ თვალს თამაშს და ტაშის დაკვრით აჯილდოებდნენ ყოველ მარჯვე დარტმას--- შეჯიბრება ფრედ დამთავრდა, მაგრამ საჭიროა ვალიაროთ, რომ თბილისის გუნდი ბევრად ძლიერი და უკეთესად გავარჯიშებული იყო.“<sup>1</sup>

1 „Кавказ“, 24. VII, № 168, 1912.

1912 წელს თბილისის „სოკოლის“ ფეხბურთელთა გუნდი საკმაოდ ძლიერ კოლექტივად ითვლებოდა. მან ბაქოში არსებულ ინგლისელთა კლუბის ფეხბურთელებიც კი გამოიწვია სათამაშოდ. ამის შესახებ გაზეთ „კურიერ-კოპეიკას“ 1912 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნებულია განცხადება: თბილისის ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლი“ ორშაბათს, 1912 წლის 26 მარტს, ელისაბედის ქ. № 135 მდებარე პლაცზე, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მახლობლად აწყობს შეჯიბრებას ფეხბურთში ბაქოს ინგლისურ კლუბსა და თბილისის „სოკოლს“ შორის. ბილეთები იყიდება ბ-ნ აზატიანცთან (მიხაილოვის პროსპექტი № 83) და ძმებ ალშვანგებთან (სასახლის ქუჩა). მატჩი სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა მინიმალური ანგარიშით — 5:4 წაგებით გაცხარებულმა მასპინძლებმა გადაწყვიტეს რაღაც უნდა დაჯდომოდათ რევანში აეღოთ. მაგრამ მეორე მატჩი დამთავრდა ფრედ. იმავე წლის აპრილში თბილისელები ეწვიენენ ბაქოელებს. შეჯიბრება დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

1914 წელს იმპერიალისტურმა ქვეყნებმა მსოფლიო ომი გააჩაღეს. რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. ახალგაზრდობასთან ერთად სპორტსმენებიც გაიწვიეს ჯარში და, როგორც საზარბაზნე ხორცი, ფრონტზე გარეკეს. ფეხბურთის თავი აღარავის ჰქონდა. დაიშალა გუნდები, შეწყდა თამაშები, ნელინელ ჩაკვდა ქალაქის ცხოვრება.

არსებობა შეწყვიტეს ყველა სახის სპორტულმა ორგანიზაციებმა და საზოგადოებებმა. საქართველოში მენშევიკები ბატონობდნენ, გერმანელები პარპაზობდნენ და ინგლისელები ნებივრობდნენ. ჯერ რა იყო მეფის რუსეთის მიერ დაკნინებული კოლონიური საქართველოს ფიზიკური კულტურა და რა იქნებოდა იგი 1914—21 წლებში!...

მაგრამ ისეთი ძლიერი ყოფილა ფეხბურთისადმი მისწრაფება, რომ თუ არსებულ მასალებს დავუჯერებთ, საქართველოში ამ მეტად მძიმე პირობებშიც უთამაშიათ ფეხბურთი.

1917 წელს თბილისში ჩამოყალიბებულ „საქართველოს მხედართა კავშირს“ და ტანვარჯიშულ საზოგადოება „ამირანს“, რომელიც მხედართა კავშირს ექვემდებარებოდა ფეხბურთი არაფრად ეპიტნავებოდათ, ზედმეტ ბარგად მიაჩნდათ. ასეთივე აზრისა იყო 1918 წლის 25 წლის აგვისტოს შექმნილი სპორტსაზოგადოება „შეგარდენი“. მიუხედავად ამისა, ფეხბურთის მოყვარულებმა,



როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე გუნდი შეკრეს და მას „დღურა-ჯი“ უწოდეს. ეს იყო ერთადერთი მეტ-ნაკლებად ორგანიზებული ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელიც მატჩებს მართავდა ნიისა და მერე ინგლისის სამხედრო ნაწილების ფეხბურთელთა გუნდებთან.

1921-1922 წლებში ფეხბურთის საქმე ნელი ტემპით მიდიოდა წინ. ამ პერიოდში გამოშვებულ ხელნაწერ ჟურნალებს: „ჯიბრგარ-ჯიშს“, „მძლეოსანს“, „შევარდენს“, „სოკოლს“ და „საქართველოს შევარდენთა კავშირის მოამბეს“ თუ დავუჯერებთ, ფეხბურთის საქმე მეტად საცოდავად გამოიყურებოდა. 1921 წელს თბილისში მხოლოდ სამი ოფიციალური მატჩი ჩატარდა: პირველი — კავკავის ფეხბურთელებთან. თბილისელებმა გუნდი იმავე დღეს სახელდახელოდ შეკრიბეს და დაძაბული და საინტერესო შეხვედრა ფრედ (1:1) დაამთავრეს. მეორე გუნდი კისლოვოდსკიდან ესტუმრა თბილისს. „აქ კი, — წერდა ჟურნალი „შევარდენი“, — იღბალმა გვიღალატა. თვით შეჯიბრების დღეს გუნდის უფროსს მოუყვდა მამა და ორი მოთამაშე კი ავად გახდა. შეჯიბრება შედგა სუსტ მოთამაშეთა დამატებით ჩვენს მხრივ“. თამაშის შედეგი სავალალო (0:3) გამოდგა მასპინძელთათვის. მესამე თამაში შედგა ყოფილ სასულიერო სემინარიაში დაბანაკებულ ერთ-ერთ რუსულ პოლკთან ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე. ამ შეჯიბრების შესახებ ჟურნალი „შევარდენი“ მოგვითხრობს: „რადგან ყველას შეტყობინება ვერ მოხერხდა, რამდენიმე მეორე გუნდის მოთამაშეებიც იღებდნენ მონაწილეობას. მაინც მოწინააღმდეგეს ჩვენზე მეტად ლონიერს ადვილად გავუძელით და 0:0 გავათავეთ შეჯიბრება“.

1922 წლის თებერვალში ფეხბურთის ორი მატჩი გაიმართა: I „შევარდენსა“ და რუსული პოლკის გუნდების შეჯიბრება ფრედ (1:1) დაამთავრდა და II „შევარდენისა“ და II ტექნიკუმის ფეხბურთელთა კოლექტივებისა კი 3:1 პირველის გამარჯვებით. ამის გამო ხელნაწერი ჟურ. „მძლეოსანი“ წერდა: „უკვე გამოჩნდა ნიშნები იმისა, რომ გაზაფხულზე ფეხბურთი მეტად გაცხოველდება ტფილისში“. მაგრამ დადგა მარტი და თბილისელ ფეხბურთელებს მხოლოდ ორი შეჯიბრება ჰქონდათ: ერთი II „შევარდენსა“ და II ტექნიკუმის გუნდებს შორის (მოიგო „შევარდენმა“ — 4:2) და მეორე „შევარდენის“ I და II გუნდებს შორის (მოიგეს პირველებმა 3:0): „რაც იახსნება მით, რომ ტფილისში არ არის საკმაო რიცხვი ფეხბურთის გუნდებისა. სამწუხაროდ, ამ შეჯიბრებებს

ნაკლებად დაესწრო ხალხი — წერდა გულშემატკივარი „ფეხბურთელის“ ფსევდონიმით.

ქურ. „ჯიბრვარჯისის“ რედაქტორი ფეხბურთელი მიტოვებულ ორგანიზაციას წერდა: „ცხოვრების გაძნელებული პირობები ხელს მაინც ვერ უშლიან ფეხბურთის განვითარებას და გავრცელებას. თუ თბილისში მას ნაკლებად მისდევენ წარსულ დროსთან შედარებით, სამაგიეროდ იგი პროვინციაში გავრცელდა. სამწუხაროდ, ფეხბურთის თამაშის ყაიდა ვერ არის დამაკმაყოფილებელი“.

გადავხედოთ პროვინციასაც.

\* \* \*

XX საუკუნის დამდეგს ქუთაისში ძალიან ცოტა მოიძებნებოდა ისეთი ადამიანი, რომელსაც ფეხბურთზე რაიმე წარმოდგენა ექნებოდა. როდესაც 1909 წლის ოქტომბერში ქუთაისში პირველად წარმოადგინეს ეს თამაში, საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა. ქუთაისში მაშინ ჩავიდნენ ექსკურსიაზე თბილისის ვაჟთა I და II გიმნაზიის მოსწავლეები. საექსკურსიო პროგრამაში შედიოდა აგრეთვე ფეხბურთის დემონსტრაციაც. ამ დღისათვის დაიბეჭდა საპეციალური მოსაწვევე ბარათები საპატიო სტუმრების მისაპატიებლად. ეს ბარათები წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით 183 მაღალი თანამდებობის პირს დაუგზავნეს.

22 ოქტომბერს დიდძალი ხალხი მიაწყდა ხოპელ კაზაკთა პოლკის მოედანს, რომელიც დღევანდელი სადგურისა და სატვირთო ბაჟნის გადაღმა, რკინიგზისა და ყოფილ ბალახენის ქუჩის შუაში არსებულ ტერიტორიაზე მდებარეობდა. აქ ჩატარებული სპორტული გამოსვლების შესახებ 1909 წელს გამოცემულ ერთ-ერთ წიგნში ვკითხულობთ: „დღის 3 საათზე კაზაკთა პოლკის მოედანზე შედგა თბილისის სასწავლებლების მოსწავლეთა თამაში ფეხბურთში. ძალისა და სისხარტის კონკურსმა მიიზიდა მაყურებლები. საპატიო სტუმრებისათვის დასაჯდომად გამოყოფილი იყო განსაკუთრებული ადგილები. მოედნის აქეთ-იქით ცოცხალ კედლად აღიმართნენ ახალგაზრდები — ექსკურსანტები და ქუთაისელი მოსწავლეები. მოედნის გარშემო და უმთავრესად რკინიგზის შემადგენულ მიწაყრილზე კრელად მოჩანდა სადღესასწაულოდ გამოწყობილ ქალაქელთა თვალწარმტაცი ჯგუფები“.

როდესაც დიდი აღტყინებით ჩატარებული თამაში დამთავრდა და ფეხბურთელთა გუნდებმა მაყურებლის ერთსულოვან ტაშში ჩქარი ტანვარჯიშული მარშით დატოვეს მოედანი, გამოჩნდა კაზაკ

მოჯიროთეთა გუნდი. ეს იყო სიურპრიზი თავმყერილი ხალხი-სათვის.



ამ მატჩს გაზეთმა „ზაკავაშიმაც“ (1909 წლის 28 ოქტომბერი) მიუძღვნა კონსტანტინე იაკოვლევის მცირე ინტერმაცია.

ფეხბურთის ამ პირველი მატჩის შესახებ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამეცნიერო-საკვლევე ინსტიტუტის დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ჩიკვაძე, იმეამად ქაბუკი ფეხბურთელი, იგონებს: „ცენტრში იჯდა ქუთაისის გუბერნატორი და მისი თანმხლები ამაღა. ამ მიზანმა განსაკუთრებით მიგვიზიდა პროტესტანტულად განწყობილი გიმნაზიელი ფეხბურთელები და ჩვენც, თუკი შემთხვევა მოგვეცემოდა, ისეთივე გულმოდგინებით ვურტყამდით გუბერნატორის მხარეს, როგორითაც კარებში. თამაშის დამთავრების შემდეგ გოლის გამტანზე ნაკლები დიდებით როდი სარგებლობდნენ ის მოთამაშეები, რომლებმაც უფრო მეტჯერ მოახერხეს „მისი ბრწყინებულების“ დაბომბვა“<sup>1</sup>.

ფეხბურთის თამაში უწინარეს ყოვლისა ქუთაისის გიმნაზიაში ჩაისახა. ამ საქმის ინიციატორი იყო ტანვარჯიშის მასწავლებელი იასონ გაბაშვილი. მალე ქალაქის უბნებს გადაედო „ეპიდემია“ და შეიქმნა ფეხბურთელთა ე. წ. „ველური“ გუნდები. ბალახვენელმა ბიჭებმა საკუთარი გუნდი შექმნეს და ბურთის თამაში გააჩაღეს. საფიზიხელებმა ჩამოაყალიბეს ფეხბურთის მოყვარულთა წრე და წყალწითელას სილიან ნაპირებზე ფეხშიშველები დააგორებდნენ დაჩუტულ ან თივა-ბავსით გამოტენილ ტყავის ე. წ. „აბალოჩკას“. არც მწვანეყვავილელები ახალგაზრდები ჩამორჩნენ სხვებს. კომელმა ქაბუკებმაც ჩამოაყალიბეს გუნდი.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს ე. წ. „ზასტაველმა“ ახალგაზრდებმაც. ამ უბნის ქაბუკები სარგებლობდნენ უბნის სწორი და აბიბინებული მინდვრებით და ცისმარე დღე გაუდიოდა ბურთს ბათქა-ბუთქი. ხშირად ლეგიონის მოკენჭილ ეზოში თამაშობდნენ სპორტსმენ-ჯარისკაცებთან ერთად. გუნდების კაპიტნები ერთმანეთს მოელაპარაკებოდნენ, შეთანხმდებოდნენ, სანაძლეოს დადებდნენ ღვეზელზე, ლიმონათზე, პაპიროს „ჯადოსანზე“ ან „ბაკსოიუზზე“ და დანიშნულ დღეს, უფრო კვირაობით, ერთმანეთს შეეჯიბრებოდნენ.

შეჯიბრება სერიოზულ სახეს ღებულობდა, როდესაც ერთი

<sup>1</sup> გ. ჩიკვაძე, ასე დავიწყეთ ფეხბურთის თამაში. „ლელო“ 18.V. 1958.

უბანი მეორეს გამოიწვევდა ანდა კომის, მწვანეყვავილას, სატიჩ-  
ხის, ბალახვანის, „ზასტავის“ და სხვა გუნდები ტურნირს გააჩვენებენ.  
დნენ. ამ დროს სანაძლეოც ძვირფასი იყო: ბურთი ან სპორტული  
ფორმა. ასეთ საუბნოთაშორისო მატჩებზე მსაჯებად უკვე ფეხბურ-  
თის კომპეტენტურ პირებს—ნიკოლოზ გვარამაძეს, პეტრე კილაძეს  
და სხვებს იწვევდნენ. ისინიც დიდი ხალისით ასრულებდნენ მსაჯის  
მოვალეობას. 1920—1922 წლებში ქუთაისის „შევარდენთან“ არსე-  
ბობდა ფეხბურთელთა გუნდი, ჟურნალი „ფიზიკური კულტურა“  
წერდა: „1924 წელს ქუთაისის ჯომარდ-თამაშობის განწვერ-  
თან დაარსებულ იქნა ფეხბურთის ლიგა, რის შედეგადაც ფეხ-  
ბურთის საქმე შესამჩნევად გაუმჯობესდა. დამყარდა წესმორ-  
ჩილება, წარმოებს წესიერი წვრთნა, მოთამაშეებისათვის სასტიკად  
აკრძალულია ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლა (რაც წინათ  
ხშირი მოვლენა იყო) და სხვ.“<sup>1</sup>

ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდების შემადგენლობის ხშირი  
ცვალებადობის მიუხედავად, შეძლებისდაგვარად მოხერხდა „ყაზ-  
ბეგის“ გუნდის შემადგენლობის დადგენა. ამ კოლექტივში ცენტრა-  
ლურ თავდამსხმელად თამაშობდა დავით კაპანაძე, რომელიც გუნ-  
დის კაპიტანი იყო, ვასო არველაძე (თავდამსხმელი), თავდაცვაში  
გამოირჩეოდა ბენო ბეროძე, ხოლო გოგია გოგსაძე მეკარის მოვა-  
ლეობას ასრულებდა. ქუთაისელი ახალგაზრდები ფეხბურთის თამა-  
შის ტექნიკას შავი ზღვის სანაპირო ქალაქებშიც იძენდნენ, სადაც  
ისინი ზაფხულობით არდადეგების გააატარებლად ჩადიოდნენ. ქუ-  
თაისელები ხშირი სტუმრები იყვნენ აგრეთვე სურამის, ბორჯომის-  
სა და წალვერის, სადაც თბილისელი მოსწავლეები და სტუდენტო-  
ბა ფეხბურთით ერთობოდა.

1923 წლის დეკემბრის დადგენილებით შეიქმნა „ფიზიკური  
კულტურის უმაღლესი საბჭო“; რომელშიც შედიოდნენ: ვანო სტუ-  
რუა (თავმჯდომარე), მელნიკოვი, მერკვილაძე, აბაზაძე (პასუხის-  
მგებელი მდივანი), გაბარაშვილი, კვინიხიძე და სხვ. რეორგანიზაცია  
მოხდა ქუთაისის ფიზკულტურულ ორგანიზაციაშიც. შეიქმნა ფიზ-  
კულტურის ქუთაისის საბჭო, რომლის პასუხისმგებელ მდივანად დაი-  
ნიშნა ტანმოვარჯიშე, ამჟამად საქართველოს ფიზიკური კულტუ-  
რის ინსტიტუტის ისტორიის კათედრის გამგე დოც. მ. გორგაძე.  
ფეხბურთის ლიგის მაგიერ დაარსდა ჯომარდ-თამაშობათა

<sup>1</sup> ფეხბურთი ქუთაისში, ჟურნ. „ფიზიკური კულტურა“, 1925. № 2. გვ. 12







განწევრი ფეხბურთის ქვეგანწევრით. მ. გორგაძისა და სხვათა  
 ინიციატივით ჩამოყალიბდა 1 კატეგორიის კომკავშირულ-სპორტული  
 „კიმი“, რომელიც უფროსი ასაკის მოთამაშეებით დააკომპლექტეს.  
 შეიქმნა აგრეთვე და 1 კატეგორიის გუნდებად აღიარეს „ტრიუმ-  
 ფი“, რომლის კაპიტანი იყო გოგი შხვაცაბაია (ამჟამად საქარ-  
 თველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-  
 პრეზიდენტი). მასში თამაშობდნენ სოსო ახობაძე, ალიოშა მარუა-  
 შვილი, საშა კახაია, მურდულია (მეკარე), ალიოშა ავალიანი, ბუცის  
 პირველი მკერავი ქუთაისში სარგიყიანიცი, ძმები ბაგატელოვები,  
 ა. სკორობოგატოვი და სხვები.

ქუთაისელთა სიმპათიებით სარგებლობდა პირველი კატეგო-  
 რიის ახალგაზრდული გუნდი „მერცხალი“, რომელიც ძირითადად  
 „ზასტაველი“ ქაბუკებით იყო დაკომპლექტებული. მოთამაშეთა  
 ორიგინალურმა ფორმამ, მერცხლისებურმა ქუდებმა და თამაშის  
 სწრაფმა მანერამ განსაზღვრეს მათი სახელი<sup>1</sup>. არ შეიძლება გან-  
 საკუთრებით არ ავლნიშნოთ იმ დროისათვის გამოჩენილი ქუთაი-  
 სელი ფეხბურთელის გივი კილაძის სპორტული მოღვაწეობა. იგი  
 მუშაობდა ლეგიონის ფიზკულტურის ხელმძღვანელად და თან  
 ფეხბურთისა და კალათბურთის გუნდებში თამაშობდა. გ. კილაძე  
 საქართველოს რეკორდსმენიცი იყო ხტომაში, ბირთვის კერაში, ხო-  
 ლო მაგიდის ჩოგბურთში—ქუთაისის უცვლელი ჩემპიონი.

ფიზკულტურული ხელმძღვანელი ორგანოების რეორგანიზა-  
 ციამ ძირეული ცვლილებები შეიტანა სპორტულ ცხოვრებაში. სა-  
 ქართველოს თითქმის ყველა დიდ და სარაიონო ქალაქებში ფეხ-  
 ბურთელთა გუნდები ჩამოყალიბდა. 1924 წლისათვის საქართვე-  
 ლოში უკვე 120 გუნდი იყო, აქედან ქუთაისში 10. მათ შორის აღ-  
 სანიშნავია: „ყაზბეგი“, „ბაში-აჩუკი“, „რიონი“, „ლეგიონი“,  
 „მერცხალი“, „კიმი“, „ტრიუმფი 1, II“ და სხვ.

1924 წელს ფიზკულტურის ქუთაისის საბჭომ გადაწყვიტა ქა-  
 ლაქის პირველობის ჩატარება ოლიმპიური წესით. მაგრამ არ ჰყავ-  
 დათ მეოთხე გუნდი. ამ დროისათვის სხვებზე უფრო ცნობილი  
 იყო საუბნო გუნდი „ბაში-აჩუკი“, რომელიც გათამაშებაში ჩართეს.  
 ახლა უკვე შეიძლებოდა ასპარეზობის მოწყობა. კენჭისყრით „მერ-  
 ცხალი“ (კაპიტანი გ. კილაძე) „ტრიუმფს“ (კაპიტანი გ. შხვაცაბაია)

<sup>1</sup> იხ. აგრეთვე: ასე დაიწყო ქუთაისში. გაზ. „ლელო“, 20, 22. IX. 59.

შეხვედა, „კიმი“ — „ბაში-აჩუკს“. ამ გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავა „ტრიუმფმა“.

საქართველო  
საქართველო

სათანადო ნიადაგის მომზადების შემდეგ ფიზკულტურის ტრუქტორ საშა ლომთაძის დახმარებითა და შ. დარჩიას ინიციატივით 1925 წელს ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა პირველი გუნდი რკინიგზის ქუთაისის კვანძზე. შემდგომ წლებში ამ გუნდმა მიიღო სახელწოდება „ლოკომოტივი“.

საქართველოში მეტად ძნელი საშოვარი და ძვირი იყო ბურთი, ბუცები 12-დან 25 მანეთამდე ფასობდა, ბურთი 6—18 მანეთი ღირდა, მაისური ან ტრუსი—2-4 მანეთი. პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში ჩეხი საქმოსანი ორტი კიევიში ამზადებდა და ვაჭრობდა სპორტინვენტარით. ამის შესახებ ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ერთ-ერთ რუსულ გაზეთში ამოიკითხეს. ორტის საგაზეთო განცხადება იტყობინებოდა, რომ ბურთების მიღება ვამოწერთაც შეიძლება. გამოწერით შეძენილი ბურთი კიდეც უფრო ძვირი ჯდებოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. 1911 წელს მ. გორგაძემ ქუთაისში მართლაც გამოიწერა კიევიდან ორტის ქარხნის ბურთი, გაბერა და ფეხბურთელები გაახარა. უსახსრობის გამო, როგორც საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში, ისე ქუთაისშიც ხელით კერავდნენ ბურთის გარსს იუხტის ტყავისაგან. თარგად ძველი ან სხვა ქალაქიდან სამადლოდ გამოგზავნილი დაგლეჯილი ბურთის ნაჭრებს იყენებდნენ. ბურთის კერვაში დაოსტატდნენ ძმები ლევიძეები, გოგია ცინცაძე და სხვები. ისინი იყვნენ ქუთაისელი ფეხბურთელების მომმარაგებლები. სხვათა შორის ბურთის პატრონი, შემკერი ან ტყავის მშოვნელი პრივილეგიებით სარგებლობდა გუნდში, უფროსობდა, კაპიტნობდა, მსაჯობდა.

ბურთის შესაძენ ფულს ყველგან მოთამაშეები აგროვებდნენ. „ფსონით“ ნაყიდი ბურთი საზიარო ქონებად ითვლებოდა. ზოგჯერ ახალგაზრდა ფეხბურთელები რომელიმე გლეხს მიეხმარებოდნენ ყანის თოხნასა ან სარწყავი არხის თბრაში და აღებული თანხით სპორტულ ფორმას ყიდულობდნენ. ერთხელ გივი კილაძემ „მერცხალისა“ და „ბაში-აჩუკის“ მოთამაშენი მამის ყანაში მიიწვია ნაღვე. სამაგიეროდ მამისი ივანე ბურთს დაპირდა ბიჭებს. სამუშაოს შესრულების შემდეგ დანაპირევი „ფაბრიკის“ ბურთი მართლაც მიიღეს ახალგაზრდებმა.

1925 წლის მარტისათვის ქუთაისში არსებობდა 9 ოფიციალუ-



რი გუნდი და ერთი მოუწყობელი სტადიონი. დასასვენებელი ოთახი ჩერო იყო, დასაწოლი—კონინდარი და საშხაპე—რიონის ეურნალი „ფიზიკური კულტურა“ 1925 წელს წერდა: „1924 წლამდე ფეხბურთი ქუთაისში თუმცა ძალიან იყო გავრცელებული, მაგრამ მას ჰქონდა დამახინჯებული ხასიათი. ფეხბურთელებს არ ჰქონდათ მუდმივი ადგილი წვერთნისათვის, არ ჰყავდათ მწვერთნელები, არც იყო შესაფერი წესმორჩილება. გუნდებს შორის არ იყო კავშირი და ყოველი გუნდი თამაშობდა ისე, როგორც მას ეხერხებოდა, არ ხელმძღვანელობდა არავითარი წესებით და განრიგებით. ასეთ პირობებში ფეხბურთი ქუთაისში არ იყო დაყენებული შესაფერ დონეზე და ამიტომ ქუთაისის ფეხბურთელები ითვლებოდნენ სუსტ მოთამაშეებად“. ამავე წელს, აღდგომის დღეს, უძლიერესის გამოსავლინებლად გაიმართა ქუთაისის ფეხბურთელთა I და II ნაკრების მატჩი. გამარჯვებულმა გუნდმა საქართველოს ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. ამ ასპარეზობაში ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, გორის, ზაჰესისა და ბორჩალოს გუნდები. თამაში ოლიმპიური სისტემით ხუთ დღეს გაგრძელდა. ქუთაისელები სოხუმელებს შეხვდნენ. 90-წუთიანი ბრძოლა, ყაიმით (2:2) დამთავრდა. განმეორებითი შეხვედრა კვლავ ყაიმით (0:0) დასრულდა. ბოლოს იძალეს სოხუმელებმა და მესამე მატჩი მოიგეს დიდი ანგარიშით—4:0. ჩემპიონატში პირველი ადგილი თბილისელებმა დაიკავეს, მეორე—სოხუმელებმა.

\* \* \*

1894 წელს ბათუმში ტრადიციის მიხედვით მეგრელები და გურულები იბრძოდნენ ლელოს გატანისათვის. ამ ასპარეზობის დროს ნავსადგურში უცხოეთის რამდენიმე გემი იდგა. „ივერიის“ კრონიკიორი ბათუმიდან იტყობინებოდა: „რამდენიმე ინგლისელი გამოვიდა ნაპირად და ბურთაობა რომ დაინახეს, ისე შეექმნათ იმათაც გული, რომ თვითონაც ჩაერივნენ: ისე თამაშობდნენ ისინი ბურთაობას, რომ ჩვენებურები გვეკონებოდათ. ალტაცებაში იყვნენ ასეთი დროს გატარებით“.

ბათუმის ნავსადგურში მდგომი უცხოელთა გემების გუნდები შემდგომში კიდევ უფრო ხშირად თამაშობდნენ „ფუტბოლს“. ამ თამაშმა, არამც თუ მარტო ახალგაზრდები, არამედ ძველი გამოცდი-

ლი ლელობურთელნიც მიიზიდა და ქალაქის თვითმმართველობის წინ მწვანე მინდორზე გაიმართა თამაში. პირველ ხანებში ლელობურთელებს არ ეჭაშნიკათ ფეხბურთი, მაგრამ როდესაც იგი პრაქტიკულად გასინჯეს, მადა გაეხსნათ და ისე სწრაფად შეითვისეს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ დიდი გემების ფეხბურთელთა კოლექტივებსაც კი სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ, თუმცა ხშირად აგებდნენ კიდევ. როგორც წესი, უცხოეთის ყოველ სამხედრო ხომალდს ჰყავდა ფეხბურთელთა გუნდი. ამა თუ იმ ნავსადგურში დგომისას ფეხბურთელი მეზღვაურები გადმოდიოდნენ ნაპირზე და ადგილობრივ გუნდებთან მართავდნენ თამაშს. სპორტის დამსახურებული ოსტატი გიორგი სიმონის ძე ეგნატაშვილი იგონებს: „ბათუმში ჩამოვიდა ინგლისელთა ერთ-ერთი სამხედრო გემი. ინგლისის საკონსულოს მდივანმა, რომელიც ადგილობრივ გუნდში თამაშობდა, წინადადებით მიმართა ინგლისელებს ეთამაშათ ადგილობრივ ფეხბურთელებთან. შეჯიბრება მასპინძელთათვის სამწუხარო შედეგით დამთავრდა—21:0. 1912 წლამდე ფეხბურთი სტიქიურ ხასიათს ატარებდა, შეჯიბრება უბრალო გაყოფით, არჩევან-არადანით ეწყობოდა, ბურთს დასდევდნენ ჯგუფ-ჯგუფად და მეტწილად „უმისამართოდ“ ურტყამდნენ. შემდგომში ჩები გიმნასტის ვ. კოუბას ინიციატივით ბათუმში ჩამოყალიბდა სპორტ-საზოგადოება „სოკოლი“ და ფეხბურთის მოყვარულთა წრე, რომელსაც დაერქვა „ვოლნიე სოკოლა“. იმავე წელს ბათუმის გიმნაზიაში შეიქმნა ფეხბურთელთა მეორე გუნდი ე. წ. „სელექტივი“ (რჩეულნი).

ფეხბურთმა ნელ-ნელა იწყო გავრცელება და 1914 წლისათვის ქალაქს 10 მდე ძლიერი და ბევრი „ველური“ გუნდი ჰყავდა. პირველობაზე ერთმანეთს ხედებოდნენ ფეხბურთელთა გუნდები: „ვოლნიე სოკოლა“, „სელექტივი“, „დრუჟბა“, „არაქსი“, „ბოევია გიმნაზიჩესკაია“, „გრეჩესკაია“, „პობედა“, „ბონდარი“, „რიცარი“, „მარსი“, „სპორტი“ და სხვ.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე თითქმის ყველა რჩეული ფეხბურთელი არმიასი გაიწვიეს, ხოლო 1918 წელს, გერმანელ ოკუპანტთა თარეშის დროს, თითქმის მთლიანად შეწყდა და დაიწყებას მიეცა ფეხბურთის თამაში.

1918 წელს საქართველოში გერმანელები დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარებმა შეცვალეს. ამ პერიოდში ბათუმელებმაც ჩამოაყალიბეს გუნდი. მათ ეცვათ შავი ტრუსები და თეთრი მაისუ-



რები მკერდზე ბურთისა და მატჩის მონაწილეთა საერთო რაოდენობის გამომსახველი რიცხვი 22. გუნდმა სახელწოდება „22“ მიიღო.

ბათუმის ნავსადგურში ამ დროს ინგლისის კრეისერი „ტეხეო“ იდგა, რომლის ფეხბურთელთა გუნდში სხვათა შორის მღვდელიც თამაშობდა. მის გვერდით ტივტივებდა იტალიელი პარტნიორის დრედნოუტი „რომა“. „ტეხეომ“ „რომასთან“ წააგო მატჩი. სამაგიეროდ ინგლისელებმა ოცდაორელებს მოუგეს პირველი შეხვედრა—2:1. მაგრამ შემდგომ შეხვედრებში ისინი ყოველთვის დამარცხებული ტოვებდნენ სტადიონს. ჯერი მიდგა „რომას“ ფეხბურთელებზე. მასპინძლებმა ორი ბურთი გაუტანეს „სტუმრებს“, მაგრამ იტალიელი და მათი უცხოელი პარტნიორები აიფხორნენ, გაგულისდნენ და ბათუმელ ფეხბურთელებს მუქარა და ლანძღვა-გინება დაუწყეს. ცემისა და პოლიციაში დაკავების შიშით ბათუმელები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ თამაში.

ამავე პერიოდში ბათუმში კარგ სპორტულ ფორმაში იყო ფეხბურთელთა გუნდები: „სლიოტი“, „ხოლოდნაია სლობოდა“, „მორიაკი“ და სხვ. 1920 წელს შედგა რამდენიმე საქალაქო მატჩი. ბათუმელებმა ბაქოში, მართალია, წააგეს, მაგრამ თბილისელებთან მატჩი ყაიმით დაამთავრეს, ხოლო როდესაც თბილისელები შავი ზღვის სანაპიროს ესტუმრნენ, ბათუმელებმა მათ დაახვედრეს ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „22“, მაგრამ მაინც სტუმრებმა გაიმარჯვეს.

დადგა 1921 წელი. მენშევიკებისა და უცხოელთა გემები პორიზონტს მიეფარნენ. დაიწყო ახალი ცხოვრება. მართალია, ძველი გუნდები თითქმის დაშლილი იყო, მაგრამ ბათუმში ფეხბურთი არ ჩამკვდარა. ფეხბურთის აღორძინების საქმეში 1921 წელსვე პირველი ნიციტატორად გამოვიდა „სოკოლი I“, რომელმაც ჩაატარა საქალაქთაშორისო მატჩები ბორჯომთან, სოხუმთან, ნოვოროსიისკთან და ყველა შეხვედრა დიდი ანგარიშით მოიგო. 1921 წლის 23 ოქტომბერს ბათუმს კისლოვოდსკის ნაკრები ეწვია. ამ მატჩის მსვლელობას შ. ავაქოვი ეურნალ „სოკოლში“ შემდეგნაირად აღწერდა: „დასაწყისიდანვე, თამაშის მეათე წუთზე, ნათელი გახდა ბათუმელთა უპირატესობა, რომელიც სულ უფრო იზრდებოდა და განმტკიცდა მთელ პირველ ნახევარში. ბათუმელებმა მოწინააღმდეგეს 5 გოლი გაუტანეს. მაგრამ ასეთი გამარჯვება „სოკოლი I-ის“ საერთო თამაშისა და შევიარჯიშების შედეგი კი არ იყო, არა-



THE UNIVERSITY OF CHICAGO  
LIBRARY



მედ „სოკოლის“ იმ ორი-სამი „სოლისტის“ გაბედული და გაბა-  
 მწყეტი იერიშისა, რომლებმაც თამაშის პირველი ნახევარი განმუშა-  
 აცოცხლეს... მატჩის მთელ მანძილზე მაყურებლები დიდ ინტერეს-  
 სით უფვალთვალბდნენ თამაშს და ყველა წარმტაც მომენტს ხან-  
 გძლივი ტაშით აღნიშნავდნენ. მატჩის დამთავრების შემდეგ მა-  
 ყურებელთა მქუხარე ოვაციით დასრულდა ზეიმი... ეს კარგი გა-  
 მარჯვება იყო...“

იმავე წლის ნოემბერში ბათუმს ეწვივნენ კავკაელი (ქ. ორ-  
 ჯონიკიძე) ფეხბურთელები, რომლებსაც დამხედურნი „გულუხვად“,  
 9 ბურთით გაუმასპინძლდნენ“.

„სოკოლი I-ის“ შემდეგ შეიქმნა ფეხბურთელთა გუნდი „სო-  
 კოლი II“, აღდგა „ხოლოდნაია სლობოდა“, ჩამოყალიბდა „შევარ-  
 დენის“ ფეხბურთელთა კოლექტივი და სხვ. ძველი ფეხბურთელი  
 ა. ავალიშვილი ჟურნალ „სოკოლში“ 1922 წელს წერდა; „ესლა  
 ფეხბურთის საქმე ბათუმში, მართალია, არ ყვავის, მაგრამ მაინც  
 წინ მიიწევს“.

ლიკვიდირებულ სატანვარჯიშო საზოგადოება „სოკოლისა“ და  
 „შევარდენის“ ბაზაზე აღმოცენდა საბჭოთა საქართველოს ახალ-  
 გაზრდული სპორტული კავშირი „სპარტაკი“, ხოლო 1923 წელს  
 შეიქმნა საქართველოს ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო და  
 ფიზკულტურამ და სპორტმა სწრაფი ტემპით იწყო განვითარება.

1923 წელს ბათუმში იყო 16-მდე ფეხბურთელთა გუნდი, მათ  
 შორის აღსანიშნავია ისეთი ძლიერი კოლექტივები, როგორცაა  
 „უნიტა“, „ქსმ“, „ფეხბურთის მოყვარულთა ბათუმის წრე“, „სლო-  
 ბოდა“, „სლიოტი“, „საბჭოთა მუშაკების კლუბი“, „აზიზი“, „წი-  
 თელი რაინდი“ და სხვ. სამხედრო მოსამსახურეთა გუნდებიდან  
 განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბათუმის სიმაგრეთა რაიონის ნაქ-  
 რები, აჭარის ცაკის სახელობის პოლკისა და „განსაკუთრებული  
 განყოფილების“ გუნდები.

ბათუმის ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოებასთან („ბდპო“)   
 არსებული ფეხბურთის სექცია 1923 წლიდან ნაყოფიერ მუშაობას  
 შეუდგა სპორტის ამ სახეობაშიც. საზოგადოებას ჰყავდა ერთ-ერთი  
 ძლიერი ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელშიც იყვნენ თბილისისა  
 და მოსკოვის სამხედრო ოლიმპიადის მონაწილე ა. პაპკოვი, რ. პო-  
 ლოსოვი, ა. ბიბაევი, ნ. ანიკინი, რ. ფალავანდიშვილი და სხვ.  
 ბდპო-ს გუნდის შესახებ ს. იოაკიმიდმა მოგვითხრო: „თბილისში  
 გაგვიწვიეს სათამაშოდ. სადგურზე დ. სამუშია დაგვხვდა და თვალი

გადაგვაგლო თუ არა, გამარჯობის მაგიერ მომადხა: საბავშვო ბა-  
ლი რად გინდოდა, რომ ჩამოგიყვანიაო. როგორც ცნობილია, მატჩი მოვიგეთ ანგარიშით 3:0. ამავე წელს ფოთში მიგვტყუეს  
კარგად მახსოვს 4:1 მოვიგეთ. ვახტანგ დარჩიას თამაშმა გავვაო-  
ცა: გაიტკრებოდა წინ, რამდენიმე ფინტით მეკარის პირისპირ აღ-  
მოჩნდებოდა, რამდენჯერმე ხმამალლა შესძახებდა „ჰოპ-ჰოპ“ და  
ბურთს მასპინძელთა კარში გაგზავნიდა“.

1924 წლის მარტში საგანგებოდ ჩამოყალიბებული ბათუმის  
ნაკრები ამხანაგურ შეხვედრებს მართავდა ნავსადგურში მდგომი  
უცხოელი გემების ფეხბურთელთა გუნდებთან და ამიერკავკასიის  
პირველობისათვის ემზადებოდა. აგვისტოში გაიმართა 3 მატჩი:  
თბილის-ბათუმსა, ბაქო-ბათუმსა და თბილის-ბაქოს შორის. ტურ-  
ნეში გამარჯვებული არ გამოვლინდა. ჩატარებული მატჩების შედე-  
გები ასეთი იყო: ბათუმელებმა მოუგეს თბილისელებს 3:0. ბაქო-  
ბათუმის მატჩი ახერხაიჯანელი ფეხბურთელების გამარჯვებით  
(2:1) დამთავრდა—თბილისმა მოუგო ბაქოს. როგორც აღვნიშნეთ,  
ეს ჩემპიონატი არ დამთავრებულა, რადგან საკავშირო ოლიმპია-  
და ახლოვდებოდა. ამიტომ სამივე გუნდის საუკეთესო მოთამაშე-  
ბით სასწრაფოდ დააკომპლექტეს ამიერკავკასიის ნაკრები და გა-  
ისტუმრეს მოსკოვში. ამ ნაკრებში შევიდა აგრეთვე ზოგიერთი ბა-  
თუმელი ფეხბურთელიც.

1924 წელს მოსკოვში საკავშირო ოლიმპიადის ფინალში სა-  
ქართველოს ნაკრებმა წააგო ხარკოვთან. იმავე წლის 28 ნოემბერს  
ხარკოველი ფეხბურთელები ეწვივნენ თბილისს და „კიმს“ მოუგეს  
ანგარიშით 11:2, „სახუნტს“—2:0, თბილისის ნაკრებს—3:0.  
ფეხბურთის მესვეურებმა ბათუმელი ფეხბურთელები მოიწვიეს დე-  
დაქალაქში. თბილისში ჩამოვიდა ბათუმის ნებაყოფლობითი სახანძ-  
რო საზოგადოების („ბდპო“) ფეხბურთელთა გუნდი, რომელზედაც  
დიდ იმედებს ამყარებდნენ.

7 დეკემბერს შედგა ბათუმის და ხარკოვის გუნდების მატჩი.  
ბათუმელებმა პირველსავე წუთებზე ძლიერი იერიშები მიიტანეს  
სტუმრების კარზე და გოლიც გაიტანეს. ტემპმა სტუმრების და-  
ვაში არეგ-დარევა შეიტანა და მე-15 წუთზე ლაზუნენკომ საკუთარ  
კარში გაიტანა ბურთი და ანგარიში ორამდე გაზარდა. ხარკოვე-  
ლები გამოფხიზლდნენ და მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლეს მო-  
ბილიზება. მატჩი დამთავრდა ფრედ—2:2. ამის შემდეგ ხარკოვე-  
ლებთან სათამაშოდ სახელდახელოდ შექმნეს საქართველოს ნაკრე-



ბი, რომლის ნახევარსაც ბათუმელები შეადგენდნენ. საქართველოს სპორტსმენებმა ეს მატჩი აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს 1 : 0.

საქართველოს  
სპორტსმენები  
გაიმარჯვეს

შემდგომ წლებში ბათუმის ფეხბურთელთა ნაკრები დიდი წარმატებით გამოდიოდა საქართველოს პირველობის გათამაშებაში და საპრიზო ადგილებს იკავებდა. ასე მაგალითად, 1927 წელს ბათუმის გუნდი საქართველოს ჩემპიონი იყო. 1928 წელს კი ბათუმელი ფეხბურთელები თბილისის შემდეგ მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

30-იანი წლების შემდეგ ფეხბურთი ფართოდ გავრცელდა. რესპუბლიკურ ჩემპიონატში ჩაება ისეთი ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გუნდები, რომლებსაც ფეხბურთზე 1921 წლამდე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. სასიხარულოა, რომ საქართველოდან „ბ“ კლასის საკავშირო ჩემპიონატში ხუთი გუნდი მონაწილეობს და მათ შორის ბათუმის „დინამოც“.

\* \* \*

ბურთაობა ძველად აფხაზეთშიც იყო ცნობილი. აქ მას სხვადასხვა ვარიანტით დიდი ხალისით თამაშობდნენ. სახალხო ზემებსა და დღეობებში ცხენოსნური ასპარეზობის შემდეგ ახალგაზრდობა განსაკუთრებით ეტანებოდა ბურთის თამაშის იმ ვარიანტს, რომელსაც „აიმწაკაჩარა“ ეწოდებოდა. ეს თამაში ლელობურთის ზოგიერთ ელემენტს შეიცავს, უფრო დახვეწილია და, მაშასადამე, ქაბუკთა ფიზიკური აღზრდისათვის შედარებით უფრო გამოსადეგი. მაგრამ თანამედროვე ფეხბურთთან შინაარსითა და თამაშის წესებით უფრო ახლო დგას აფხაზური ბურთაობა, რომელიც „აშაპილამპილის“ სახელითაა ცნობილი. ფეხბურთის ამ ნაირსახეობაში ორ გუნდად გაჯრილი მოთამაშენი მხოლოდ ფეხის გარტყმით ცდილობდნენ მოწინააღმდეგის პირითი ხაზისათვის გადაეცილებინათ საქონლის ბეწვისაგან დამზადებული, მუჭის ოდენა ბურთი.

მაგრამ ნამდვილ ფეხბურთს აფხაზეთში საფუძველი ჩაეყარა 1908 წლის ზაფხულში, სოხუმის ცენტრში კოინდრით მოფარდაგულ ერთ-ერთ მოედანზე, სადაც „სხვადასხვა ფერის ტანსაცმელში საგანგებოდ გამოწყობილი ახალგაზრდები ორად გაიყვნენ და დიდ მინდორზე ტყავის პატარა საგანს დაუწყეს გორება“. <sup>1</sup> იმავე წელს,

<sup>1</sup> შ. ლარცულაიანი, მწვანე მინდორი 50 წლისაა, — გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1958, № 57. გვ. 4.

კოტა ხნის შემდეგ, სოხუმის მოსწავლე ახალგაზრდობამ რამდენიმე გუნდი „შეკრა“ და სახელებად მრავლისმეტყველი „არწივი“<sup>არწივი</sup> „ნიჭი“<sup>ნიჭი</sup> „ვივილი“<sup>ვივილი</sup> „ვივილი“<sup>ვივილი</sup> და „ვივილი“<sup>ვივილი</sup> (ქართულად: „მივედი, ვინაზე დავამარცხე“) და სხვა უწოდა. 1910—1912 წლებში სოხუმში უკვე ფეხბურთელთა იმდენი კოლექტივი იყო შექმნილი, რომ შესაძლებელი იყო ამხანაგური შეჯიბრების მოწყობა. გ. ცეკვაძის მეთაურობით ყველაზე მეტად აქტიურობდა „არწივი“, რომელიც 1912 წლისათვის აფხაზეთში უძლიერესი გუნდის სახელს იხვეჭს. ფეხბურთელთა შორის კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ: დ. და კ. გაბუნები, ა. ბარკალია, ა. ნოდია და სხვ.

აფხაზეთში ფეხბურთი იმდენად მომძლავრდა, რომ 1913 წელს სოხუმის ნაკრები ამხანაგური ვიზიტით ბათუმსა და ფოთს ესტუმრა, მაგრამ ფიასკო განიცადა—ყველა თამაში დიდი ანგარიშით წააგო. სოხუმელებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და ორიოდვე წლის შემდეგ, მიუხედავად ომისა, საკმაოდ მომძლავრდნენ. აფხაზეთში 1916 წელს ფეხბურთის მეორე კერა გააღვივა თბილისის „სოკოლის“ გუნდის მოთამაშემ ლ. ნორაკიძემ, რომელმაც რ. ინაშვილის, გ. დოლბაიას, ძმების მარლანიებისა და ჩხოტუების მონაწილეობით ოჩამჩირეში გააჩალა ბურთის თამაში. ფეხბურთელთა გუნდი შეიქმნა აგრეთვე ვაგრის რეალურ სასწავლებელში.

უძლიერეს ფეხბურთელთა გამოსავლინებლად და მათგან აფხაზეთის ნაკრების შექმნის მიზნით 1919 წელს სოხუმში გაიმართა ძველი და ახალი თაობის მოთამაშეთა შეჯიბრება, რომელიც ახალგაზრდობის გამარჯვებით (1:0) დამთავრდა. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ სოხუმში, პოლიტგანათლების ორგანიზაციითა კავშირთან, ვ. მუხინის თაოსნობით ჩამოაყალიბეს პირველი საბჭოთა გუნდი და მას „უნიონი“ უწოდეს. მასში თამაშობდნენ იმდროინდელი რჩეული სპორტსმენები: ს. სანაძე, ვ. თურქია, ა. ფოჩხუა, ა. ცომაია, ი. მიქაძე, ი. გაბუნია და სხვ. გარდა ადგილობრივი შეჯიბრებისა, „უნიონი“ აწყობდა გასკლით თამაშებსაც. ისინი 1922 წ. ეწვივნენ ბათუმს და 0:4 წააგეს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების გუნდთან.

1922 წელს სოხუმში ჩამოყალიბდა „ჩონი“ და „უნიტა“, ეს უკანასკნელი 1926 წლამდე აფხაზეთისა და სოხუმის უცვლელი ჩემპიონი და უცხოური გემების გუნდების დამთრგუნველი იყო. „უნიტას“ ფეხბურთელები ვ. ლვინჯილია, კ. მიქაძე, ნ. ქობივა,



ა. ქუთათელაძე, ა. ფოჩხუა, ლ. არჩაია, ნ. მარღანია და სოხუმის ნაკრებსაც ამწვენიებდნენ.

1923 წელს სოხუმელებმა თავის მოედანზე მიიღეს ფოთის ძლიერი ნაკრები, რომელიც თამაშის კარგი კლასით გამოირჩეოდა რესპუბლიკაში. მიუხედავად ძლიერი წინააღმდეგობისა, მასპინძლები 1:4 დამარცხდნენ. მაგრამ ხშირმა საქალაქთაშორისო შეჯიბრებმა, ადგილობრივმა თამაშებმა და შავი ზღვის ფლოტის ხომალდთა გუნდებთან შეხვედრებმა ისე გამოწაფეს და გამობრძმედეს აფხაზეთის ფეხბურთელები, რომ, როდესაც 1924 წელს სოხუმელები სოჭელ პარტნიორებს ეწვეივნენ, მანპინძლები ორ შეხვედრაში ორჯერვე დაამარცხეს.

1925 წლიდან აფხაზეთში ფეხბურთი სპორტის პოპულარულ სახედ იქცა. თითოეულ მაზრაში უკვე 3—4 გუნდი აღმოცენდა. სოხუმში ჩამოყალიბდა ახალი კოლექტივები: „მესტრანი“, „რაბისი“, „სლიოტი“, „პიშჩევიკი“, „გორრაბკომი“, „სამტრუდი“, „ოლიმპია“, „პეჩატნიკი“, „ბურევესტნიკი“ და ცოტა მოგვიანებით „დინამო“ და „ვოდნიკი“<sup>1</sup>.

1924 წლის შემოდგომის სეზონზე მარტო თბილისში ყველა კატეგორიის 65 გუნდი იყო რეგისტრირებული. 1925 წლის აპრილისათვის ბათუმში 12 გუნდი ირიცხებოდა, აფხაზეთში—ამდენივე, ახალციხეში, ახალქალაქში, გორში, თელავში—ორ-ორი, ახალსენაკსა და ფოთში—სამ-სამი ფეხბურთელთა კოლექტივი. სხვა ქალაქებსა და დაბებში ფეხბურთი ჯერ კიდევ ორგანიზების პერიოდში იყო, ნელა ვითარდებოდა და ფეხს იკიდებდა მასებში.

აფხაზეთის ნაკრებმა 1925 წელს სხვა 6 გუნდთან ერთად საქართველოს პირველი პირველობის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა. ქუთაისთან ორი შეხვედრის ფრედ დამთავრების შემდეგ მესამე მატჩი მოიგო 4:0 და ფინალში თბილისის ნაკრებს შეხვდა. გადამწყვეტი მატჩი მასპინძლებმა მოიგეს 3:1 და სტუმრებს მეორე ადგილი მიულოცეს. ჟურნალი „სპორტი და ხელოვნება“ აღიარებდა: „განსაკუთრებული სასიხარულო შეთხვეტილება დასტოვა სოხუმის გუნდმა, რომლის მოთამაშეთა უმრავლესობა ახალგაზრდობაა.“

1925 წლის 3 ოქტომბერს აფხაზეთის ნაკრები ესტუმრა სოჭელ, დონბასელ და ბაქოელ ფეხბურთელებს. ამ ტურნეს შედეგ-

<sup>1</sup> იხ. Ва х а н и я. О. В. Физическая культура и спорт в Абхазии. Сухуми. 1953. стр. 93.

ბი ასეთი იყო: აფხაზეთის ნაკრებმა, რომელშიც კ. მიქაძე, შ. სი-  
ხარულიძე, ე. ჩხატუა, ა. ქუთათელაძე, ა. ბოჯგუა, ა. დოცენი  
ნ. ქოიავა, ლ. არჩაია და სხვ. მონაწილეობდნენ, სოჭასთან  
შა 3:2, არმავირთან—0:0 და 1:0, კროპოტკინოსთან—1:1 და  
3:3, კრასნოდართან—1:0, როსტოვთან—2:1, ტავანროვთან—  
0:0 და 2:2, კონსტანტინოვკასთან—5:1, ბაქოსთან—0:0 და  
ნაკრებთან—0:4, თბილისთან—0:2. 1926 წელს აფხაზეთში სა-  
ფუძველი ჩაეყარა პირველობის გათამაშებას. შეჯიბრება 8 გუნდს  
შორის ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. მონაწილენი ორ კატე-  
გორიად გაყვეს I ჯგუფში მოხვდნენ: „სოვრაბოტნიკი“, „მესტრა-  
ნი“, ქართულ-აფხაზური კულტურის სექციის გუნდი „უნიტა“ და  
პირველი შრომის სკოლის გუნდი „სლიოტი“. II ჯგუფში თავი  
მოიყარეს „ოლიმპიამ“, ქართული სკოლის და პედაგოგიური ინსტი-  
ტუტის გუნდებმა. I კატეგორიაში გაიმარჯვა „უნიტამ“, ხოლო  
II კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ქართული სკოლის  
გუნდმა.

\* \* \*

ფოთი ლელობურთის ძველი ტრადიციული ქალაქია. ფეხბურ-  
თი ადრეულად ჩაისახა, მაგრამ ძნელია იმის თქმა, თუ შავი-  
ზღვისპირა რომელ ქალაქში დაიწყო პირველად ფეხბურთის თამა-  
ში. საბუთებს თუ დავუჯერებთ, პრიორიტეტი ბათუმს ეკუთვ-  
ნის.

ფოთში ხშირად მოცურავდნენ ინგლისის, საფრანგეთის, იტა-  
ლიის და სხვა სახელმწიფოთა ხომალდები, რომლებიც საქართვე-  
ლოდან ნავთს, მარგანეცს, ხე-ტყესა და სოფლის მეურნეობის პრო-  
დუქტებს ეზიდებოდნენ. ნავსადგურში დატვირთვა-გადმოტვირთ-  
ვის პროცესში უცხოელი მეზღვაურები გადმოდიოდნენ ნაპირზე  
და დასეირნობდნენ ან ქართველი ახალგაზრდების სპორტულ თა-  
მაშებს, მათ შორის განსაკუთრებით ლელობურთს ადევნებდნენ  
თვალს. ზოგჯერ ისინი მონაწილეობის მიღებასაც ცდილობდნენ,  
დიდი გემების ეკიპაჟები კი დამოუკიდებელი თამაშობდნენ ფეხ-  
ბურთს. როგორც ბ. პაიჭაძე წერს, 1908—1909 წლებში ფოთში  
ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა პირველი კოლექტივი და ერთ-ერთ  
უბანში, ე. წ. „ნაბადაში“, გაჩაღდა ბურთის თამაში ახალი სტი-  
ლით. ამ გუნდში შედიოდნენ: ა. კვაჭაძე, ვ. დიღია, ს. და ვ. პაი-  
ჭაძეები, ა. თურქიანცი, რ. ალხაზოვი და სხვები. 1911—1914



წლებში ფოთელები შავი ზღვის პირა ქალაქებში მოგზაურობენ და შეჯიბრებებს გარდამავალი უპირატესობით ატარებენ ფოთშიც და ასეა თავისი დალი ფეხბურთს. თამაშები თითქმის შეწყდა. 1918 წლიდან ფოთს მოეწვინა ახალი ოფიციალური გუნდი შ. დარჩიას, ლ. გაბუნიას, გ. ლოლობერიძის, გ. გოგინავას, გ. ხორავას, ეფრემ ლათაძის („პაპაშა“), შ. პაიჭაძის და სხვათა შემადგენლობით.

ფოთის ფეხბურთელთა ძლიერი კოლექტივი 1921 წლიდან საქართველოს გუნდებს შორის პირველობის მაძიებელთა შორის იდგა და ლამაზი, გააზრებული თამაშით ხშირად დამსახურებულ ქებასაც იმსახურებდა.

1921 წლის 26 ივნისს ფოთს ესტუმრა ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდი 8 კაცის შემადგენლობით. შეჯიბრებამ ფოთელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ცხარე სპორტული ბრძოლა ფოთელმა სპარტაკელებმა დიდი ანგარიშით 6:0 მოიგეს. მეორე კვირას, 3 ივლისს, ფოთს ესტუმრა სენაკის „შევარდენი“. ფოთის სტადიონზე უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. მსაჯმა ლ. ხოტივარმა შევარდნელთა გატანილი მეორე ბურთი რატომღაც არ ჩათვალა და ასპარეზობა სპარტაკელებსა და სენაკელებს შორის ყაიმით (1:1) დამთავრდა.

1923 წელს ფოთელებმა თავის მოედანზე 2:1 მოუგო თბილისის „დურუჯს“, ხოლო მცირე ხნის შემდეგ თბილისის ნაკრებსაც ანგარიშით 3:2. მალე ჩამოყალიბდა მეორე გუნდიც კ. გუნიას, კ. ხოშტარიას, კ. აფხაზავას, ო. კვანტალიანის, ძმების მ. და შ. ასათიანების და სხვათა შემადგენლობით. 1925 წელს ამ ორი გუნდის ბაზაზე შეიქმნა ფოთის „დინამო“, რომელსაც მომდევნო წლებში მიემატა „რემედისი“, „ურანი“, ნავსადგურის მუშათა კოლექტივისა და რკინიგზელთა გუნდები. 1927 წლიდან ფოთელები ჩაებნენ საქართველოს პირველობის გათამაშებაში, აწყობდნენ ტურნეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, თავის მოედანზე იღებდნენ და ხშირად ამარცხებდნენ სათამაშოდ ჩამოსულ სტუმრებს.

1920 წელს ი. კიზირიას თაოსნობით ახალ სენაკში შეიქმნა პირველი ფეხბურთელთა კოლექტივი „შევარდენი“, რომელშიც თამაშობდნენ: ჟორა და ჭიჭიკო ჩხიკვიშვილები, დავით და ბოჩია გუნეები. ერთი წლის შემდეგ შოთა ოკუჯავამ ჩამოაყალიბა მეო-

რე გუნდი. თამაშები იმართებოდა ჩონთო მხეიძის ეზოში, სადაც დღეს „სპარტაკის“ სტადიონია.



1922 წელს ზუგდიდში კ. ჟვანიამ, ვლ. ჯიქიამ, ს. ბაბუნაშვილმა, მ. ჩიქოვანმა, გ. კარტოზიამ, შ. კვიციანიამ, ვ. და დ. გეგელიძემა, ვ. გელანტიამ და სხვებმა შეკრეს გუნდი „მერცხალი“ და დადიან-მიურატების ყოფილ ნაფუძვარზე ფეხბურთის თამაშს შეუდგნენ.

1924 წლის შემდეგ ფეხბურთმა ფეხი მოიკიდა კახეთშიც. 1925 წელს, როგორც ვ. ხატიაშვილი იტყობინებოდა, სიღნაღის მაზრაში ფეხბურთის 6 გუნდი შეუქმნიათ.

სურამელმა მ. ჯოჯუამ, მ. დიდებულძემ, ვ. ბერიძემ, მ. ვარსიმაშვილმა, ვ. გვერდწითელმა, დ. კილასონიძემ და სხვებმა 1911 წლიდან გ. ჩხიკვაძისა და მ. ვარსიმაშვილის თაოსნობით მიჰყვეს ხელი ფეხბურთის თამაშს პარკის გვერდით არსებულ მინდორზე. ისინი აწყობდნენ გასვლით თამაშებსაც. სურამის „ამირანი“ ხშირი სტუმარი იყო გორის, ხაშურის, ბორჯომის, წალვერის, ქუთაისისა და თბილისის. „ამირანი“ ბაქოსაც კი ეწვია.

1924—1925 წლებში აქტიურობას იჩენდა გორის კომუნალური მეურნეობის მუშაკთა ფეხბურთის გუნდიც. 1925 წლის ზაფხულში ისინი ეწვივნენ ზესტაფონს, სურამს, ხაშურს და წარმატებებიც მოიპოვეს.

1918 წლიდან ბორჩალოელი (დღევანდელი მარნეული) სპორტის მოყვარულებიც კი ამოძრავდნენ და უკვე 1919 წელს თბილისელები მიიწვიეს სათამაშოდ. მათ საქართველოს პირველ პირველობაში (1925 წელს) მიიღეს მონაწილეობა. რა ვუყოთ, რომ ფოთელებთან შეხვედრის დროს მსაჯი ბლანკმანი გადაიღალა სასტვენის ბერვით და ბორჩალოელი „გოლკიპერი“ საკუთარი კარიდან ბურთის 17-ჯერ გამოტანით!.. ბორჩალოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბორჩალოს ახალგაზრდა სპორტსმენთა კოლექტივი საქართველოში ფეხბურთის ჩასახვის პირველ წლებიდანვე დიდი ინტერესით ეკიდებოდა სპორტის ამ სახეობას. ისინი მონაწილეობდნენ სპარტაკიადებში, ოლიმპიადებში, ჩემპიონატებში, ატარებდნენ ტურნეს რესპუბლიკის ქალაქებში და ხალისით იღებდნენ სტუმრად ჩასულ ფეხბურთელებს. სამწუხაროდ, ზოგჯერ დიდი, ასტრონომიული ანგარიშით აგებდნენ, მაგალითად თბილისთან



შეჯიბრის დროს 24 ბურთიც კი მიუღიათ და ამის გამო „ბორჩალოც“ კი დამეკიდრდა.

ფეხბურთელთა გუნდები შეიქმნა აგრეთვე თელავში, ახალქალაქში, ახალციხეში, სამტრედიისში და სხვაგან. 1924—1925 წლებში ფეხბურთელთა წრე ჩამოყალიბდა თბილისის სახელმწიფო აკადემიური დრამის მსახიობთა შორისაც.

საქართველოს ფეხბურთელებმა საერთაშორისო შეხვედრებს 1925 წელს ჩაუყარეს საფუძველი, როდესაც ისინი ტრაპიზონში ჩავიდნენ და თურქ ფეხბურთელებს მოუგეს მატჩი. მომდევნო წელს კი ამიერკავკასიის ნაკრები, რომელშიც ა. ჟორდანიას, ამბოკაძე, ა. პაპკოვი და სხვები თამაშობდნენ, ფინეთში ჩავიდა და ჰელსინკი-ფორისა და აბოს მუშაკთა გუნდებს შეხვდა.

ამრიგად, მიგნებული, შესწავლილი, ძველად და ამჟამად გამოქვეყნებული დოკუმენტალური და ბეჭდვითი მასალების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფეხბურთის ისტორია საქართველოში იწყება 1894 წლიდან, იმ დროიდან, როცა ბათუმელ ლელობურთელებს ინგლისელი მეზღვაურები ჩაერივნენ და ფეხბურთელობურთი გაჩაღდა; თბილისში ფეხბურთის თამაში „სოკოლმა“ 1906 წელს დაიწყო და ამავე წლის ივნისში ველოტრეკზე არაოფიციალური გუნდიც ჩამოყალიბდა; ფეხბურთის თამაში ქალაქის ფარგლებში ხელისუფლებამ ოფიციალურად დაუშვა და ფეხბურთელთა პირველი გუნდი „კომეტა“ იურიდიულად გააფორმა 1907 წლის 23 თებერვალს, პირველი ოფიციალური საჯარო საჩვენებელი მატჩი მოეწყო 1909 წლის 22 ოქტომბერს ქ. ქუთაისში კაზაკთა პოლკის მინდორზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის I და II ვაჟთა გიმნაზიის ფეხბურთელები; პირველი ოფიციალური შეჯიბრება თბილისში შედგა 1911 წლის 21 ოქტომბერს „სოკოლსა“ და ქალაქის მოსწავლეთა ნაკრებს შორის. დასასრულ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველი საქართველოს ოფიციალური მატჩი თბილისში შედგა 1912 წლის 26 მარტს თბილისის „სოკოლსა“ და ბაქოში არსებულ ინგლისელთა ფეხბურთის კლუბის გუნდებს შორის.

ასეთია ის ფაქტები, რომლებსაც ამ მოკლე ისტორიულ ექსკურსში შევეხეთ საქართველოში ფეხბურთის ჩასახვის, გავრცელებისა და განვითარების პირველ ეტაპზე 1894-დან 1926 წლამდე, საქართველოს პირველი ოფიციალური პირველობის ჩათვლით.

მეორე ეტაპი დიდი ფეხბურთისათვის ნიადაგის მომზადების



პერიოდს შეეხება და ქრონოლოგიურად 1926—1936 წლებში და განისაზღვროს.

შემდეგი, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, ეტაპი მოიცავს ქართული ფეხბურთის საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე გასვლას, დიდი ფეხბურთის აღორძინებას საქართველოში.

ეს ორი უკანასკნელი ეტაპი ქართული ფეხბურთის ისტორიო-გრაფიაში უფრო სერიოზული და შრომატევადი ნაწილია. წინამდებარე ბროშურა კი მიზნად ისახავს საფუძველი მოუმზადოს მათ. მაგრამ მონოგრაფიულ ნაშრომს გარდა ქართული ფეხბურთი თავისი არსებობის 60 წლის იუბილესაც ელის.







ბროშურაში ჩართული სურათების წარწერები:

გვ. 13.

თბილისის ვაკეთა II გიმნაზიის ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც 1912 წელს მოსწავლეთა შორის პირველი ადგილი დაიკავა. სურათზე მარცხნიდან: გ. ჩიკვაძე, დ. დიაჩენკო, ი. გორინი, ვ. დოლიძე, გ. შმატკოვი, გ. შიოშვილი, ი. ოსიპოვი, წევს ს. როდნოვი.

გვ. 18.

თბილისის „შევარდენის“ ფეხბურთელთა გუნდი „დურუჯი“. მარცხნიდან: ანდრო ჟორდანია, ვახტანგ ამბოჯაძე, ევგენი ფრუიძე, კოტე მამამთავრიშვილი, კულევცი, გიტო გიორგიძე, ვლადიმერ ნაჭყებია, გიგული მახათაძე, ჟორა ნებიერიძე და შორეტი.

გვ. 23.

ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდი „მერცხალი“ 1923 წელს უკანა რიგში (მარცხნიდან): ს. ქავთარაძე, ა. გალუშკინი, კ. მარგველაშვილი, შ. კილაძე, ვ. მარგველაშვილი, გ. ცინცაძე, ს. გვილაფა. წინა რიგში: კიტოვანი (ჩაჩოქილი), გ. კილაძე, (ზის), პოლშინი (ჩაჩოქილი) და ბ. გავაძე (ზის).

გვ. 29.

ბათუმის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების (БДПО) ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც ერთ-ერთი ძლიერი კოლექტივი იყო და საქართველოს პირველობის პრეტენდენტი 1923—1928 წლებში. ს. ბიბაევი, ლ. სიდორაშული, ნ. ანიკინი, რ. ფალაგანდიშვილი, ვ. გასპარიანი, რ. პოლოსოვი, კ. ბორმანი, ა. პაპოვი (მეჯარე), ბ. კოხავი და სხვ.

7-5491 ✓

გადეცა წარმოებას 15/X-60; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/XII-60; ანაწყოების ზომა 6X9,5 კალაღის ზომა 60X84; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 2,5; პირობით ფორმათა რაოდენობა 1,8.

შეკვეთა № 1838

უფ 07994

ტირაჟი 6 800

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“,  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
П/к „Комунисти“ Издательства ЦК КП Грузии,  
Тбилиси, ул. Ленина, 14.

01/68



ფანი 1 მან.

ფანი 1961 წლის 1-ლი იანვრიდან 10 კპპ.

53

А. И. Цамцишвили

**ФУТБОЛ В ГРУЗИИ**

(На грузинском языке)

Издание Общества по распространению  
политических и научных знаний  
Грузинской ССР

Тбилиси  
1960